05.07.21

მარში ღირსების გარეშე

05. 07. 21

მარში ღირსების გარეშე

აგვისტო, 2021

სარჩევი

შესავალი **3**

ანგარიშის ძირითადი მიგნებები **4**

ნაწილი I- ფაქტობრივი გარემოებები **5**

1. პრაიდის კვირეულამდე მიმდინარე მოვლენები და გამოხმაურებები კვირეულთან დაკავშირებით 5

2. პრაიდის კვირეული 10

3. შეფასებები „ღირშების მარშის“ ჩაშლასთან დაკავშირებით და პრაიდის კვირეულის შემდგომი პერიოდი 16

ნაწილი II - სამართლებრივი შეფასება **19**

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა 19

2. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ევროკონვენციის მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევა 26

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა 32

შეჯამება **35**

შესავალი

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ (GDI) წინამდებარე ანგარიში წარმოაჩენს LGBTQI+ თემის მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზების კუთხით არსებულ პრობლემებს. ამ ჭრილში განხილულია სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და LGBTQI+ თემის მიმართ გატარებული პოლიტიკა. უფრო კონკრეტულად, ანგარიში ასახავს 2021 წლის 5 და 6 ივლისს თბილისში ჰომოფობიურ კონტექსტში განვითარებულ მოვლენებს და მათ წინმსწრებ პერიოდს. აღნიშნული მოვლენები ასევე შეფასებულია მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. კერძოდ, სამართლებრივად გაანალიზებულია 5 ივლისს მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებულ მასშტაბურ თავდასხმაზე სახელმწიფოს რეაგირება, თუმცა ანგარიში ძირითადად LGBTQI+ თემის უფლებების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებას აფასებს.

ანგარიშის პირველი ნაწილი ასახავს პრაიდის კვირეულის დაწყებამდე მიმდინარე მოვლენებს (კვირეულის გამოცხადება და თანმდევი გამოხმაურებები), კვირეულის მიმდინარეობას (1-ლი ივლისის კინოჩვენება, 3 ივლისის ფესტივალი და მათი ხელშეშლის მცდელობები, 5 ივლისს სიძულვილის ჯგუფების მიერ ძალადობა, აგრესია და „ღირსების მარშის“ ჩაშლა) და კვირეულის შემდგომ პერიოდს (6 ივლისის ძალადობის საპროტესო აქცია და აგრესიული კონტრდემონსტრაცია, ხელისუფლების მიერ საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები).

ანგარიშის მეორე ნაწილი ეთმობა სამართლებრივ შეფასებას, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია პირველ თავში აღწერილ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, აღნიშნული შეფასებულია ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის, შეკრების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ჭრილში თანასწორობის უფლებასთან/დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთობლიობაში.

აღსანიშნავია, რომ GDI სამართლებრივ დახმარებას უწევდა „თბილისი პრაიდს“ და უშუალოდ იყო ჩართული მიმდინარე მოვლენებსა და დისკუსიებში. შესაბამისად, ანგარიშში მოხმობილი ინფორმაცია დაფუძნებულია როგორც მედიაში გავრცელებულ მასალაზე, ასევე GDI-ს წარმომადგენლების პირად და პრაიდის ორგანიზატორთა გამოცდილებაზე.

ანგარიშის ძირითადი მიგნებები

- 5 ივლისს განხორციელებული თავდასხმის ფაქტები აშკარად აღწევს არასათანადო მოპყრობის მინიმალურ სტანდარტს, რადგან ამ ქმედებებმა მსხვერპლებს, ანუ მედიის წარმომადგენლებს, LGBTQI+ თემის წევრებსა და აქტივისტებს აღუძრეს შიშის, ტანჯვის, დაუცველობის და დამცირების განცდა, რაც დასტურდება შემდგომში თავად დაზარალებულების ნაამბობით. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ევროკონვენციის) მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებამ LGBTQI+ თემის წევრები და მხარდამჭერები, სამოქალაქო აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები სათანადოდ არ დაიცვა სიძულვილის ჯგუფების მხრიდან მუქარისგან, აგრესიისა და ძალადობისგან მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის რეალური რისკის არსებობის შესახებ.
- რაც მთავარია, ხელისუფლებამ არა თუ არ დაიცვა სათანადოდ LGBTQI+ თემის წევრები და მხარდამჭერები, სამოქალაქო აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები, არამედ თავად წაახალისა მათზე ძალადობა „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ მიმართული ჰომოფობიური და ანტიდემოკრატიული განცხადებებით.
- საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ევროკონვენციის მე-11 მუხლის დარღვევით, ხელისუფლებამ არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის წევრების, მხარდამჭერებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ „ღირსების მარშის“ გამართვა, ანუ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა უსაფრთხო გარემოში. აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ მარშის ორგანიზატორებმა ხელისუფლებას შესთავაზეს ალტერნატიული მარშრუტი და ასევე წინასწარ აწვიდნენ ინფორმაციას მუქარის, მოსალოდნელი ძალადობის ორგანიზების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ სიძულვილის ჯგუფები თავად აცხადებდნენ საჯაროდ მარშის ჩაშლის გეგმების შესახებ. აღნიშნულის ფონზე „ღირსების მარშის“ ორგანიზატორები ხელისუფლებისგან ითხოვდნენ დაცვის კონკრეტულ გარანტიებსა და პრევენციულ ღონისძიებებს, რაც არ შესრულდა.
- ზემოაღნიშნული უფლებები ევროკონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დისკრიმინაციული, ჰომოფობიური მოტივით დაირღვა.
- საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და ევროკონვენციის მე-10 მუხლის საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებას არ ჰქონია ეფექტური რეაგირება სიძულვილის ჯგუფების მიერ მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმების აღსაკვეთად. შესაბამისდ, მან არ უზრუნველყო ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება უსაფრთხო გარემოში.
- LGBTQI+ თემი წარსულშიც არაერთხელ გამხდარა ულტრანაციონალისტური და სიძულვილის ჯგუფების ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. როგორც ამ ჰომოფობიური გამოცდილებიდან, ისე 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ხელისუფლება სისტემურად არ უზრუნველყოფს LGBTQI+ თემის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით ეფექტურ სარგებლობას. შესაბამისად, სახელმწიფოს არ აქვს LGBTQI+ თემის უფლებების დაცვის რეალური ნება და

ინტერესი, რითაც უგულებელყოფს კონსტიტუციურ და საერთაშორისო ვალდებულებებს.

ნაწილი I- ფაქტობრივი გარემოებები

1. პრაიდის კვირეულამდე მიმდინარე მოვლენები და გამოხმაურებები კვირეულთან დაკავშირებით

1.1. „თბილისი პრაიდის“ მიერ გადადგმული ნაბიჯები და კომუნიკაცია ხელისუფლების წარმომადგენლებთან

2021 წლის 30 მაისს „თბილისი პრაიდმა“ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ვიდეოთი საზოგადოებას ამცნო დაგეგმილი პრაიდის კვირეულის შესახებ, ხოლო 4 ივნისს ცნობილი გახდა, რომ კვირეულის ფარგლებში გაიმართებოდა დოკუმენტური ფილმის ჩვენება, მუსიკალური ფესტივალი და „ღირსების მარში“[1]. კერძოდ, 1 ივლისს დაგეგმილი იყო თბილისის პირველი პრაიდის შესახებ ბრიტანული დოკუმენტური ფილმის ჩვენება, 3 ივლისს - ღია ცის ქვეშ ფესტივალი LGBTQI+ თემის წევრი ხელოვანების და მუსიკოსების მონაწილეობით, ხოლო 5 ივლისს - ღირსების მარში[2]. პრაიდის კვირეული მიზნად ისახავდა LGBTQI+ თემის პრობლემების შესახებ საზოგადოებისთვის ხმის მიწვდენას, ცნობიერების ამაღლებას, სოლიდარობის გამოხატვას, ხოლო თბილისი პრაიდი სახელმწიფოსგან ითხოვდა 1. ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას; 2. ჰომოფობიის, სტიგმისა და დისკრიმინაციის დასაძლევად და თანასწორი გარემოს შესაქმნელად პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას; 3. სამართლიანობის პრინციპის დაცვას და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სათანადო გამოძიებას; 4. თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისგან განურჩევლად[3]. ამასთანავე თბილისი პრაიდმა დაიწყო კომუნიკაცია ხელისუფლებასთან. კერძოდ, გაეროს განვითარების ფონდის (UNDP-ის), დიპლომატიური კორპუსის, პრაიდის პარტნიორი ორგანიზაციების (“სირცხვილია”; “ქალთა მოძრაობა”) და GDI-ის მონაწილეობით, პრაიდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლებზეც პრაიდმა სამინისტროს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა კვირეულის ფარგლებში საკუთარი გეგმების შესახებ. კვირეულის თითოეულ ღონისძიებას დაეთმო შეხვედრა, რომელზეც პრაიდი და შსს განიხილავდნენ კონკრეტულ ღონისძიებას. შესაბამისად, შეხვედრების მიზანი იყო მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა, სახელმწიფოს მაქსიმალურად ინფორმირება და, საქართველოში გავრცელებული ჰომოფობიური

---

[1] 5 ივლისს "თბილისი პრაიდი" "ღირსების მარშს" გამართავს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31290279.html?fbclid=IwAR3VFxcAcx_OIXzU48fUWNBFmSaQ99gNexr7kBqcClxQdNpb4Pyf-XDb4gQ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[2] Tbilisi Pride Week 2021, იხ: https://tbilisipride.ge/en-US/News/Details/108?fbclid=IwAR0NEejOK8DrxGkuRYG02Ltb94AfuMZHvguI2Nbmhns4e4nBKv6kEFDsIJM [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[3] იხ. 1-ლი შენიშვნა.

დამოკიდებულების გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან პრაიდის კვირეულში მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის გარანტიების მიღება.

1.2 საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება

პრაიდის კვირეულის გამოცხადებას გამოეხმაურნენ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები. მაგალითად, საქართველოში აშშ-ს ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ „მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით ისარგებლონ მშვიდობიან გარემოში, ძალადობის გარეშე"[4] და განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ევალებოდა თითოეული მოქალაქის დაცვა, „მაშინაც კი, როდესაც ეს არაპოპულარული ნაბიჯია"[5]. გარდა ამისა, ევროპარლამენტარებმა გამოქვეყნებული წერილით მოუწოდეს შს მინისტრს, რომ უზრუნველეყო თბილისი პრაიდის წევრების გამოხატვისა და შეკრების უფლების რეალიზაცია[6]. მათ ყურადღება გაამახვილეს წარსულში მომხდარ ჰომოფობიურ თავდასხმებზე და მოუწოდეს სახელმწიფო ორგანოებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, საპოლიციო ძალებით LGBTQI+ თემის უსაფრთხოების ეფექტური დაცვისკენ[7]. ანალოგიურად, გაეროსა და საქართველოში დიპლომატიური მისიების ერთობლივ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება ყველა ადამიანისთვის გამონაკლისის გარეშე და უზრუნველყოს პრაიდის კვირეულის უსაფრთხოდ ჩატარება[8].

1.3 სახელმწიფოს წარმომადგენლების გამოხმაურება

პრაიდის კვირეულის გამოცხადებას ასევე მოჰყვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების განცხადებები.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა „კომპეტენტურ ორგანოებს და თანამდებობის პირებს, წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაატარონ ღონისძიებები, რომელიც ღირსების მარშის მონაწილეების უსაფრთხოებას, გამოხატვის და

---

[4] აშშ-ის ელჩი გამოთქვამს იმედს, რომ პრაიდი მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდება, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31331646.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[5] კელი დეგნანი "პრაიდზე" - ისინი, ვისაც სურთ, ძალადობით და ზიზღით ხელი შეუშალონ მშვიდობიან მსვლელობას, საქართველოს კონსტიტუციას არღვევენ, იხ: https://www.interpressnews.ge/ka/article/664079-keli-degnani-praidze-isini-visac-surt-zaladobit-da-zizgit-xeli-sheushalon-mshvidobian-msvlelobas-sakartvelos-konstitucias-argveven [ბოლო ნახვა 23.05.2021].

[6] იხ: https://twitter.com/LGBTIintergroup/status/1409462849261408259?ref_src=twsrc%5Etfw [ბოლო ნახვა 23.05.2021]; 28 ევროპარლამენტარი გომელაურს „პრაიდის" დაცვისკენ მოუწოდებს, იხ: https://netgazeti.ge/news/550929/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[7] იქვე.

[8] გაერო და დიპლომატიური მისიები პრაიდის კვირეულის შესახებ ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31334398.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

შეკრების თავისუფლებებს რეალურად დაიცავს“[9]. მნიშვნელოვანია ასევე ქვეყნის პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომ მიუღებელია ძალადობის, მუქარის, ზეწოლისა და სიძულვილის ენის გამოყენება და რომ „თბილისი პრაიდის მონაწილეებს აქვთ უფლება გამოხატონ თავიანთი აზრი და გამოიყენონ ის უფლება, რომელიც ყველას კონსტიტუციური უფლებაა, კონსტიტუციისა და კანონის მიერ დადგენილ ნორმებში“[10].

სახელმწიფო ორგანოების სხვა წარმომადგენლებმა, სამწუხაროდ, კონსტიტუციურ გარანტიებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო განცხადებები გააკეთეს. მეტიც მათი განცხადებები ძალადობის წამახალისებელიც აღმოჩნდა. თბილისის მერმა, კახა კალაძემ, მაგალითად, პრაიდის კვირეულის გამართვას მიზანშეუწონელი უწოდა[11]. ასევე, მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“, თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კვირეულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე“[12]. ამასთან, ჟურნალისტების კითხვას, არის თუ არა ირაკლი კობახიძის ნათქვამის მსგავსი განცხადებები უმცირესობის უფლებების დარღვევა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით სერგეენკომ შემდეგი პასუხი გასცა: „რთული სათქმელია. უფლებების შეზღუდვა, არ მგონია, იყოს. არავინ უშლით იმის გაკეთებას, რისთვისაც მონდომებულები და მოწოდებულები არიან ეს ხალხი“[13] და „რაც შეეხება უფრო ხმამაღლა გამოხატვას, არ ვიცი, საზოგადოების სხვა ნაწილსაც უნდა შეეკითხონ ალბათ და მაინცდამაინც კონფრონტაციაზე არ უნდა წავიდნენ. არავინ არ უშლის არაფერში ხელს, უბრალოდ, რაღაც უფრო ნაკლები ენთუზიაზმით ჯობია“[14].

1.4 სიძულვილის ჯგუფების გამოხმაურება

პრაიდის კვირეულის დაანონსების შემდეგ ტრადიციულად გააქტიურდნენ ულტრანაციონალისტური და პრო-რუსული აქტორები[15]. ისინი ავრცელებდნენ პრაიდის

---

[9] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ღირსების მარშთან დაკავშირებით, იხ: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-ghirsebis-marshtan-dakavshirebit [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[10] სალომე ზურაბიშვილი პრაიდზე: ყველას აქვს სიტყვის თავისუფლების და გამოსვლის უფლება, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31335336.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[11] თბილისის მერი "პრაიდის კვირეულის" გამართვას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31331499.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[12] კობახიძე პრაიდის კვირეულზე: სრული კონტექსტის გათვალისწინებით, უარი უნდა ეთქვათ ჩატარებაზე, იხ: https://bit.ly/3wG8K1G [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[13] “უსაფრთხოება” გამოხატვის თავისუფლების ხარჯზე — რატომ ეწინააღმდეგება “ოცნება” “პრაიდს”, იხ: https://netgazeti.ge/news/549119/?fbclid=IwAR08yPEJt2tUV97mJdexsmKZyNPFwHm8JUM1a-oapgBY1xF8zUk7fNrTHJs [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[14] იქვე.

[15] სიძულვილის ენა, მუქარა და დეზინფორმაციული გზავნილები „ღირსების მარშის“ წინ, იხ: https://isfed.ge/geo/blogi/sidzulvilis-ena-muqara-da-dezinformatsiuli-gzavnilebi-ghirsebis-marshis-

საწინააღმდეგო, ჰომოფობიური ხასიათის მქონე და მანიპულაციურ ინფორმაციას, რომელიც ძირითადად მოიცავდა შეცდომაში შემყვან გზავნილებს, რომ ღირსების მარში იმართებოდა დასავლეთის მოთხოვნით, ქართულ იდენტობასთან, ეკლესიასთან ბრძოლის მიზნით და მის შედეგად საბოლოოდ დაიკარგებოდა ოკუპირებული ტერიტორიები[16]. ფეისბუქზე, მაგალითად, თბილისი პრაიდის დისკრედიტაციის მიზნით, გამოქვეყნდა პრაიდის ხელმძღვანელის სურათი და ყალბი ციტატა, რომელშიც იგი, თითქოს, პრაიდის მოწინააღმდეგეებს დაემუქრა „სტალინისტური რეპრესიებით“[17]. ჰომოფობიური ხასიათის პოზიციები დააფიქსირეს პრო-რუსული და ულტრანაციონალისტური ჯგუფების წარმომადგენლებმა. 15 ივნისს ხელისუფლებას პრაიდის კვირეულის გასაუქმებლად 10-დღიანი ვადა მისცა ბიზნესმენმა და პარტიის „ერთობა, რაობა, იმედი“ დამფუძნებლმა, ლევან ვასაძემ[18], რომელიც დაახლოებულია პრო-რუსულ წრეებთან, მათ შორის კრემლის იდეოლოგ ალექსანდრ დუგინთან[19], ხოლო 10 დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ლევან ვასაძე დაიმუქრა „ღირსების მარშის“ ჩაშლით[20].

პრაიდის წინააღმდეგ სიძულვილის ენისა და მუქარის შემცველი განცხადებებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტელეკომპანია „ალტინფო“, რომელიც დაარსა ქართული მარშის ყოფილმა ლიდერმა და პრო-რუსული პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილმა წევრმა, კონსტანტინე მორგოშიამ[21]. „ალტინფომ“ განაცხადა, რომ ხელისუფლებას უგზავნიდა მკაფიო მესიჯს და გააკეთებდა ყველაფერს რუსთაველის გამზირის დასაკავებლად, რუსთაველზე ხალხის მაქსიმალური რაოდენობის მისასვლელად „ღირსების მარშის“ ხელშეშლის მიზნით[22]. აღსანიშნავია, რომ „ალტინფოს“ ეთერში ხშირად ვხვდებით დუგინის ინტერვიუებს, ხოლო დუგინი პერიოდულად საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ასევე აქვეყნებს „ალტინფოს“ შესახებ ინფორმაციას[23]. ჰომოფობიურ ნარატივებს მხარს უჭერს გურამ ფალავანდიშვილიც - პრო-რუსული და ნაციონალისტური პარტიის, „ქართული იდეის“ წევრი და „ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელი[24]. ხსენებულმა საზოგადოებამ პოპულარიზაცია გაუწია „ალტინფოს“ მიერ

---

tsin?fbclid=IwAR0BzE2HdwJ8wDx3u-bWfbB2Fx4SJMLn1OQc8n3zicr5Q8lvo6RmIwVsk-E [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] ლევან ვასაძე ხელისუფლებას "პრაიდის" ღონისძიებების აკრძალვას სთხოვს და 10 დღიან ვადას აძლევს, https://rustavi2.ge/ka/news/201944 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[19] იხ. მე-15 შენიშვნა.

[20] ლევან ვასაძე იმუქრება, რომ ჩაშლის ღირსების მარშს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31328205.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[21] იხ. მე-15 შენიშვნა.

[22] “ღირსების მარშის” მოწინააღმდგეები რუსთაველის გამზირის გაკონტროლებას აპირებენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31324390.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[23] იხ. მე-15 შენიშვნა.

[24] იქვე.

ორგანიზებულ ძალადობრივ შეკრებას[25] და განაცხადა, რომ ხელს შეუშლიდა პრაიდის კვირეულის ნებისმიერ აქტივობას[26]. ამასთანავე, „ღირსების მარშის“ ჩასაშლელად და რუსთაველის გასაკონტროლებლად მობილიზაციას აპირებდნენ სხვა დაჯგუფებები - „მამულიშვილები“, „ჩოხოსანთა საზოგადოება“, „დავითიანი“ და ა.შ.[27]

1.5 რელიგიური კონფესიების გამოხმაურება

ულტრანაციონალისტური დაჯგუფებების გარდა, ჰომოფობიური შინაარსის პოზიცია რამდენჯერმე დააფიქსირა საპატრიარქომაც. ფეისბუქზე გავრცელებულ განცხადებაში, მაგალითად, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანდრია ჯაღმაიძემ, პრაიდის კვირეულს დაუკავშირა „ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის მიმართ მიმდინარე გაუგონარი პროპაგანდისტული შტურმი“[28], რაც რეალურად წარმოადგენდა პანსიონთან დაკავშირებული მოვლენების დამახინჯებას, მანიპულაციას[29]. გარდა ამისა, 29 ივნისის განცხადებაში საპატრიარქომ პრაიდის აქტივობებს უწოდა ძალადობა უმცირესობის არჩევნის თავსმოხვევის სახით[30], შემდგომ „ღირსების მარშის“ კონტრაქციაზე მიიწვია მოსახლეობა და საელჩოებისა და ევროპარლამენტარების პოზიციას უწოდა „უფლებამოსილების გადამეტება“[31], ხოლო საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული „საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ბავშვთა საინიციატივო ჯგუფის“ განცხადება უკვე ბავშვებს მოუწოდებს 5 ივლისს რუსთაველზე გამოსვლისკენ[32].

საქართველოს საპატრიარქოს გარდა, ჰომოფობიური ხასიათის განცხადებები გაავრცელეს სხვა კონფესიების წარმომადგენლებმაც. კერძოდ, „თბილისის დიდი სინაგოგა”

---

[25] იქვე.

[26] გურამ ფალავანდიშვილი პრაიდის ჩასაშლელად რუსთაველზე კარვების დადგმას აპირებს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31330236.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[27] სიძულვილის ჯგუფების მუქარის მიუხედავად, „თბილისი პრაიდი“ არ აპირებს მარშის გაუქმებას, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31324505.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[28] ანდრია ჯაღმაიძის მანიპულაცია ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ, იხ: https://bit.ly/2UOfrBl [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[29] იქვე.

[30] საპატრიარქო „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ განცხადებას აქვეყნებს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31332214.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[31] საპატრიარქო მოსახლეობას 5 ივლისს "მშვიდობიანი პროტესტის" გასამართად იწვევს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31339303.html?fbclid=IwAR03DMSPRIP8v9qkxXlg3gYIVDkjh9NxfDCX9YL6lDLnfS82fG4Cik3FzM0 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[32] საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, სადაც ბავშვებს „პრაიდის“ წინააღმდეგ ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31340358.html?fbclid=IwAR0Yx4LIriIEvBaQl9li3Uxo84zeGcc84ZYfUsHYXKt84slQK8UdrRlaCio [ბოლო ნახვა 23.07.2021].

განცხადებაში ითხოვდა, რომ ხელისუფლებას არ დაეშვა პრაიდის ჩატარება[33]. იმავეს ითხოვდა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო"[34]. აღსანიშნავია, რომ ორივე კონფესიის განცხადებებში ეწერა იდენტური ფრაზები[35]. ასევე, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, „სოლიდარობის თემი" დაუკავშირდა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს" და აცნობა, რომ გმობდნენ სამმართველოს განცხადების ძალადობის წამახალისებელ შინაარსს[36]. თემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამმართველო, თემის მოთხოვნით, გაემიჯნა განცხადებას და აიღო ოფიციალური გვერდიდან[37]. მიუხედავად ამისა, სამმართველომ აღნიშნული განცხადება კვლავ დადო ვებ-გვერდზე და განმარტა, რომ იგი ტექნიკური ხარვეზის გამო იყო დროებით მიუწვდომელი[38]. აღნიშნული სოლიდარობის თემმა შეაფასა სახელმწიფოს მიერ მუსლიმთა ავტონომიის შეზღუდვად და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მუსლიმთა სამმართველოს კონტროლად[39].

2. პრაიდის კვირეული

2.1 კინოჩვენება

კვირეულის პირველი ღონისძიება - კინოჩვენება პირველ ივლისს გაიმართა[40]. მას LGBTQI+ თემის წევრებსა და მხარდამჭერებთან ერთად დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, მათ შორის ბრიტანეთის, გერმანიისა და ისრაელის ელჩები[41]. კინოჩვენების პარალელურად, მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო პოლიცია[42], ხოლო ღონისძიების ჩასაშლელად შეკრებილნი იყვნენ ძალადობრივი და

---

[33] „პრაიდს" საქართველოს მუსლიმთა სამმართველო და „თბილისის დიდი სინაგოგაც" დაუპირისპირდნენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31340439.html?fbclid=IwAR1dHF5wcJJGzuyboUFlgy6QszUH_TERpP8ifng_vZ5Z1WwDdCNOb7VDOOw [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[34] იქვე.

[35] იქვე.

[36] "სოლიდარობის თემის" ცნობით, სამუფთო "პრაიდის" საწინააღმდეგო განცხადებას გაემიჯნა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31340482.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[37] იქვე.

[38] სოლიდარობის თემი სამუფთოზე: გავხდით მომსწრე, როგორ ზღუდავს სახელმწიფო მუსლიმთა ავტონომიას, იხ: https://tabula.ge/ge/news/669597-solidarobis-temi-samuptoze-gavkhdit-momscre-rogor [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[39] იქვე.

[40] ამაყი ვარ, რომ დღეს საღამოს "ღირსების მარშის" პრემიერას დავესწარი — ისრაელის ელჩი, იხ: https://bit.ly/3em1xxo [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[41] იქვე.

[42] ვაჟა სირაძე: ყველას აქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31336201.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

ჰომოფობიური ჯგუფები[43]. ისინი კინოჩვენების მონაწილეებს ესროდნენ კვერცხებს, ბოთლებს და, სავარუდოდ ქვებს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია იდგა ღამის კლუბის შესასვლელსა და მათ შორის და ცდილობდა მათ შეკავებას[44]. გავრცელებული ინფორმაციით, კვერცხი მოხვდა აშშ-ს საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს[45]. ჰომოფობიური ჯგუფები ასევე ცდილობდნენ საავტომობილო გზის გადაკეტვას, რისი საშუალებაც პოლიციამ არ მისცა[46]. კინოჩვენების დასრულების შემდეგ დამსწრეები პოლიციის ცოცხალი კორდონის გავლით, მიკროავტობუსებით განარიდეს ტერიტორიას[47]. ხულიგნობისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის გამო სამართალდამცავებმა ძალადობრივი ჯგუფებიდან ადმინისტრაციული წესით დააკავეს 23 პირი[48], **რომელთაგან 20 მეორე დღეს, ანუ 2 ივლისს უკვე გათავისუფლებული იყო ხელწერილის საფუძველზე[49]. შესაბამისად, პრაიდის კვირეულის მომდევნო ღონისძიებებისთვის აღნიშნულ პირებს კვლავ შეეძლოთ კვირეულის მონაწილეებისთვის საფრთხის შექმნა.**

2.2 ფესტივალი

კვირეულის მეორე ღონისძიება - ფესტივალი - ჩატარდა ლისის ტბის, "Lisi Wonderland"-ის ტერიტორიაზე 3 ივლისს[50]. ღონისძიებას ასობით ადამიანთან ერთად ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის, ევროკავშირის, საფრანგეთის და ნიდერლანდების ელჩები[51]. ფესტივალზე სხვადასხვა მუსიკალურმა ჯგუფებმა შეასრულეს თავიანთი კომპოზიციები, გაიმართა ქვიარ ხელოვანების გამოფენა, საგანმანათლებლო და თემატური ვორქშოფები, ასევე მოწყობილი იყო საკვები ობიექტები და ბარები, სივრცე LGBTQI+ თემის მხარდამჭერი სტარტაპებისთვის და ა.შ[52]. კვირეულის ღონისძიების ჩაშლა კვლავ სცადეს ჰომოფობიურმა და ძალადობრივმა ჯგუფებმა, რომლებიც ფესტივალის შესასვლელთან იმყოფებოდნენ, მაგრამ ისინი პოლიციამ შემოღობა რკინის ჯებირებით[53]. სამართალდამცავები იცავდნენ ფესტივალის

---

[43] ძალადობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა აშშ-ის საელჩოს თანამშრომელს კვერცხი მოარტყეს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31336372.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] „პრაიდ კვირეულის" ორგანიზატორები ამ ეტაპისთვის დადებითად აფასებენ პოლიციის მუშაობას, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31336499.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[48] პოლიციამ "პრაიდის კვირეულის" მოწინააღმდეგე ძალადობრივი ჯგუფის 23 წევრი დააკავა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31337223.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[49] პოლიციამ დაკავებული ძალადობრივი ჯგუფის 20 წევრი ხელწერილით გაათავისუფლა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31337233.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[50] ფოტორეპორტაჟი: ღირსების ფესტივალი — თბილისი პრაიდის კვირეული გრძელდება, იხ: https://bit.ly/2UOnsGs [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[51] იქვე.

[52] იქვე.

[53] იქვე.

ტერიტორიის მთელ პერიმეტრს, შიდა ტერიტორიაზე ასევე იყო კერძო დაცვა[54]. შესაბამისად, ღონისძიება ექსცესების გარეშე დასრულდა და დამსწრეებს სახლში წასვლა შეეძლოთ ტაქსით, ასევე პოლიციის მიერ უზრუნველყოფილი მიკროავტობუსით[55].

2.3 „ღირსების მარშის“ ჩაშლა - 5 ივლისს განვითარებული მოვლენები

კვირეულის პირველი ორი ღონისძიებისგან რადიკალურად განსხვავებულად განვითარდა მოვლენები 5 ივლისს, ანუ იმ დღეს, როდესაც იგეგმებოდა „ღირსების მარშის“ გამართვა რუსთაველის გამზირზე[56].

ჯერ კიდევ 3 ივლისს საპატრიარქომ მიმართა მოსახლეობას, რომ პროტესტის ნიშნად შეკრებილიყვნენ ქაშვეთის ტაძართან და აღევლინათ პარაკლისი[57], ხოლო „ღირშების მარშის“ წინა დღეს, ჰომოფობიურად განწყობილმა პირებმა რუსთაველის მეტროსთან კარვები გაშალეს ღამის გასათევად და ღიად აცხადებდნენ, რომ „ღირსების მარშის“ ჩაშლას შეეცდებოდნენ[58]. მათ შორის იყო <u>გურამ ფალავანდიშვილი, რომელმაც პირდაპირ თქვა, რომ მოსალოდნელი იყო მსხვერპლი[59]</u>.

5 ივლისის დილას პრემიერ მინისტრმა, <u>ირაკლი ღარიბაშვილმა „ღირსების მარშს“ მიზანშეუწონელი უწოდა და განაცხადა, რომ LGBTQI+ თემის მსვლელობა არ უნდა ჩატარებულიყო[60]:</u> „მოსახლეობის უმრავლესობისთვის ამ აქციის ჩატარება მიუღებელია. მიმაჩნია, რომ ეს აქცია არ უნდა ჩატარდეს"- აღნიშნა მან. ხოლო შსს-მ ორგანიზატორებს მიმართა, რომ არ გაემართათ მარში: „კიდევ ერთხელ საჯაროდ მოვუწოდებთ "თბილისი პრაიდის" მონაწილეებს, რუსთაველის გამზირზე, მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ

---

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] Live updates | Tbilisi Pride cancelled as mob violence continues, იხ: https://oc-media.org/live-updates-tbilisi-braces-for-first-pride-march/?fbclid=IwAR0bWetXZpWzkXOgy5fWTktn0UPyyz3QHxv6eoUEh5G_ke3vK--ZxNtuhVs [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[57] საპატრიარქო პრაიდზე: შევიკრიბოთ, აღვავლინოთ პარაკლისი, ნახოს მსოფლიომ, რომ ღირსებას ვიცავთ, იხ: https://tabula.ge/ge/news/669549-sapatriarko-praidze-shevikribot-aghvavlinot [ბოლო ნახვა 03.08.2021].

[58] „პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა კარვები გაშალეს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31340543.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[59] იხ. ვიდეო: https://www.facebook.com/TVFormula/videos/2846302262298045/ [ბოლო ნახვა 23.07.2021]; „მინდა გითხრათ, რომ მოსალოდნელია მსხვერპლი“ – გურამ ფალავანდიშვილი „თბილისი პრაიდზე“, იხ: https://primetime.ge/minda-gitkhrat-rom-mosalodnelia-mskhverpli-guram-falavandishvili-tbilisi-praidze/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[60] ღარიბაშვილი: დაანონსებული ღირსების მარში მიმაჩნია მიზანშეუწონლად, იხ: https://formulanews.ge/News/53012?fbclid=IwAR2f5UFeGaTBkbY4mAqq1vEzMrRtkvDcdwhsDgYrPYqVJb9oI4HSPrFayTM [ბოლო ნახვა 23.07.2021].

დაგეგმილი აქციების მასშტაბურობიდან გამომდინარე, უარი თქვან ღია, საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე"[61].

კარვების დარბევა პარლამენტთან

5 ივლისის დილით ძალადობრივ ჯგუფებს უკვე დაკავებული ჰქონდათ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია და რუსთაველის გამზირი. თავდაპირველად აქციის მონაწილეებმა <u>პარლამენტის წინ ჩამოხსნეს ევროკავშირის დროშა</u>[62] და დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიერ თვეების წინ მთავრობის საწინააღმდეგოდ გაშლილი საპროტესტო კარვები[63]. პოლიციას მათ შესაკავებლად ფაქტობრივად არაფერი მოუმოქმედებია.

თავდასხმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და აქტივისტების დევნა

სიძულვილის ჯგუფები თავს დაესხნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის დაარბიეს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზო[64] და თბილისი პრაიდის ოფისი, ხოლო ადამიანის უფლებათა სახლის ეზოში შეაგდეს ასაფეთქებელი ნივთიერება. ძალადობრივმა ჯგუფებმა მობილიზება გაეროს ოფისის ირგვლივაც მოახერხეს. საგულისხმოა, რომ ძალადობრივი ჯგუფების წევრები კვალდაკვალ დასდევდნენ პრაიდის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს, რომლებსაც ამის გამო რამდენიმე ლოკაციის შეცვლა მოუწიათ. აღსანიშნავია, რომ მათ ადგილსამყოფელს ძალადობრივი ჯგუფები ძალიან მოკლე დროში იგებდნენ და ორგანიზებულად, რაზმებად დაყოფილები გადაადგილდებოდნენ ქალაქის ცენტრალურ უბნებში.[65] კერძოდ, „თბილისი პრაიდის“ წევრები და სამოქალაქო აქტივისტები ჯერ იმყოფებოდნენ „სირცხვილიას” ოფისში, საიდანაც მხოლოდ რამდენიმე წუთით ადრე გამოასწრეს აგრესიულ ჯგუფებს [66]. შემდგომ მათ გადაინაცვლეს გაეროს სახლში, ბოლოს კი „ადამიანის უფლებათა სახლის“ ოფისში, სადაც როგორც აღინიშნა, სიძულვილის ჯგუფების წევრებმა ასაფეთქებელი ნივთიერება შეაგდეს, რის შედეგადაც დაზიანება მიიღო ერთ-ერთმა აქტივისტმა[67].

---

[61] შსს პრაიდის გუნდს მოუწოდებს, უარი თქვან საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31341473.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[62] იხ. 56-ე შენიშვნა.

[63] ჰომოფობიური აქციის წევრებმა პარლამენტთან “ოცნების” მოწინააღმდეგეთა კარვები დაარბიეს, იხ: https://netgazeti.ge/news/552112/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[64] ძალადობრივი ჯგუფები ქალაქში | 5 ივლისის ქრონოლოგია, იხ: https://mtavari.tv/news/49516-dzaladobrivi-jgupebi-kalakshi-5-ivlisis [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[65] 5 ივლისის ძალადობის ჯგუფურ ორგანიზებაზე მიუთითებს ყველაფერი, გამოძიების გარდა, იხ: https://netgazeti.ge/news/552711/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[66] იქვე.

[67] შენობაში, სადაც 50-მდე ადამიანი იყო შეკრებილი ძალადობრივმა ჯგუფებმა ასაფეთქებელი შეაგდეს, იხ: https://netgazeti.ge/news/552305/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

საინფორმაციო სააგენტო „პუბლიკას“ მიერ ფეისბუქ გვერდებზე გამოქვეყნებულ ვიდეოში ნათლად ჩანს, თუ როგორ მოუწოდებს ერთ-ერთი ორგანიზატორი კონსტანტინე მორგოშია პარლამენტის წინ შეკრებილებს, რომ 500-600 კაცი მივიდეს „სირცხვილიას“ ოფისთან[68]. მორგოშიას მოწოდებიდან დაახლოებით 10 წუთში ძალადობრივი ჯგუფის წევრები მივიდნენ „სირცხვილიას“ ოფისთან, სადაც ისინი იგინებოდნენ და აგრესიულობით გამოირჩეოდნენ[69]. მიუხედავად ამისა, ადგილზე მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი იმყოფებოდა[70]. „პუბლიკას“ ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ ოფისის სადარბაზოსთან მდგომი 2-3 პოლიციელი ვერ ან არ აკავებს ძალადობრივი ბრბოს წევრებს, რომლებიც ამტვრევენ სადარბაზოს კარებს და იჭრებიან სადარბაზოში[71]. აღსანიშნავია, რომ ისინი „სიცხვილიას“ ოფისის ნაცვლად შეცდომით სხვა ბინაში შეიჭრნენ, ასევე დაუშინეს ქვები ბინის აივანს. მათ საფრთხის ქვეშ დააყენეს ამ სადარბაზოში მაცხოვრებელთა ჯანმრთელობა, სიცოცხლე და საკუთრება.[72]

სადარბაზოში ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ტვ „პირველის“ ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას და ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას[73]. მირანდა ბაღათურიას განმარტებით, მას წიხლი ჩაარტყეს, ხოლო ალექსადრე ლაშქარავას 20 წუთის განმავლობაში უმოწყალოდ სცემეს, ასევე სცემეს სადაბარზოში მყოფ პოლიციელს[74]. სამწუხაროდ ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა რამდენიმე დღეში, 11 ივლისს გარდაიცვალა[75]. აშკარაა, რომ ადგილზე მყოფმა რამდენიმე სამართალდამცავმა ვერ აღკვეთა ძალადობა, საკუთრების უფლების შელახვა, ვერ დაიცვა მედია წარმომადგენლების ჯანმრთელობა, ხოლო მაშინაც კი, როდესაც ადგილზე პოლიციელთა რაოდენობა შედარებით გაიზარდა, პოლიციამ, ძალადობრივი ჯგუფის წევრების დაკავების ნაცვლად, რამდენიმე მათგანი, ორგანიზატორ კონსტანტინე მორგოშიასთან ერთად სადარბაზოში შეუშვა, რათა ამ უკანასკნელთ ენახათ, დარჩა თუ არა ვინმე სადარბაზოში[76].

გარდა ამისა, ძალადობრივმა და ჰომოფობიურმა ჯგუფებმა დაარბიეს „თბილისი პრიადის“ ოფისი. ისინი აძვრნენ ოფისის აივანზე, დახიეს დროშა, ხოლო ოფისში დალეწეს ტექნიკა

---

[68] „სირცხვილიას“ ოფისსა და ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმის ქრონოლოგია, იხ; https://www.facebook.com/publika.ge/videos/2874940366060197/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[69] იქვე; სიძულვილის ჯგუფებმა "სირცხვილიას" ოფისთან გადაინაცვლეს, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31341422.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[70] იქვე.

[71] იხ. 68-ე შენიშვნა.

[72] მოქალაქის თქმით, მოძალადეებს "სირცხვილიას" ოფისი შეეშალათ და მის ბინაში შეიჭრნენ, იხ: https://netgazeti.ge/news/552388/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[73] 5 ივლისის ძალადობრივ აქციაზე ნაცემი ოპერატორი გარდაცვლილი იპოვეს, იხ: https://netgazeti.ge/news/553547/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[74] იქვე.

[75] იქვე.

[76] იხ. 68-ე შენიშვნა.

და ინვენტარი.[77] ამასთან, პრაიდის ჩანთის გამო თავს დაესხნენ მოქალაქეს[78] და ამავე დღეს სავარაუდოდ ჰომოფობიური მოტივით დაჭრეს პოლონელი ტურისტი, რომელსაც საყურე ეკეთა.[79]

მასობრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დეკანოზმა, სპირიდონ ცქიფურიშვილმა, პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს პირდაპირ მოუწოდა, რომ ვალდებულნი იყვნენ ეძალადათ: „არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის, იძალადოთ ღმერთისთვის, იძალადოთ სიწმინდისთვის“[80]. მართლაც, სასულიერო პირები, ულტრანაციონალისტური, პრო-რუსული, ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფების წევრები/მომხრეები 5 ივლისს რამდენიმე საათის განმავლობაში ძალადობდნენ და სიტყვიერ შეურცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს, LGBTQI+ თემისა და სამოქალაქო აქტივისტებს და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც ადგილზე იმყოფებოდნენ მოვლენების გასაშუქებლად[81]. ისინი განზრახ თავს დაესხნენ, ფიზიკური დაზიანებები და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მედიის წარმომადგენლებს, დააზიანეს და დაამტვრიეს მათი ტექნიკა და ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში[82]. შედეგად დაშავდა მედიის სულ მცირე 53 წარმომადგენელი[83].

5 ივლისს სასულიერო პირებისა და ულტრანაციონალისტური, პრო-რუსული, ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფების მიერ ძალადობა, მუქარა და აგრესია გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ მათი შეკრებისა და გადაადგილების ადგილებზე არ იყო მობილიზებული საკმარისი რაოდენობით პოლიცია, ხოლო ადგილზე მყოფი პოლიციელების მხრიდან გატარებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი ძალადობის შესაჩერებლად. პოლიციის უმოქმედობაზე მიუთითებენ

---

[77] სიძულვილის ჯგუფები "თბილისი პრაიდის" ოფისში შეიჭრნენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31341554.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[78] მოქალაქის თქმით, პრაიდის ჩანთის გამო მასზე ჰომოფობების ჯგუფმა იძალადა, იხ: https://netgazeti.ge/news/552403/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[79] https://bit.ly/3s1QizP [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[80] ვალდებულები ხართ, იძალადოთ ღმერთისთვის — დეკანოზი ხალხს დანაშაულისკენ მოუწოდებს, იხ: https://netgazeti.ge/news/552283/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[81] იხ. 56-ე შენიშვნა.

[82] ჟურნალისტების სია, რომლებსაც ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ, იხ: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/88604-dashavebuli-zhurnalistebis-sia [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[83] იქვე.

დაზარალებული ჟურნალისტებიც[84]. საბოლოოდ, ძალადობის, აგრესიისა და ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი რეაგირების გამო „ღირსების მარში“ გაუქმდა[85].

3. შეფასებები „ღირშების მარშის“ ჩაშლასთან დაკავშირებით და პრაიდის კვირეულის შემდგომი პერიოდი

3.1. 5 ივლისს განვითარებული მოვლენების შეფასებები

5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებთან დაკავშირებით, შს მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, განაცხადა, რომ შსს-მ პასუხისმგებლობა აიღო მხოლოდ 1-ლი და 3 ივლისის ღონისძიებების უსაფრთხოდ გამართვაზე[86]. კერძოდ, „ორ ღონისძიებაზე, 1 და 3 ივლისის ღონისძიებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებდა სრულ პასუხისმგებლობას, რომ დაცული იქნებოდა შეკრებისა და შეკრების მონაწილეთა უფლებები, რაც შეეხება 5 ივლისის ღონისძიებას, ჩვენი მხრიდან ცალსახად იყო გაცხადებული, რომ ღონისძიების მასშტაბების, მონაწილე პირთა რაოდენობის და იმ ფორმატის გათვალისწინებით, რა ფორმატითაც იყო შემოთავაზებული ეს ღონისძიება, რთული იქნებოდა უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვა“ - განაცხდა ალექსანდრე დარახველიძემ[87]. ასევე შსს-ს განცხადების მიხედვით, ჯამში მობილიზებული იყო 3200 პოლიციელი, ხოლო პარლამენტის წინ ძალადობის მოულოდნელად დაწყებისას „ადგილზე მყისიერად მოხდა საპოლიციო ძალების მობილიზება, სიტუაციის განეიტრალება და მედიის წარმომადგენლების უსაფრთხო ადგილზე გაყვანა“[88]. ამავე განცხადების თანახმად, „დემონსტრანტთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე დამატებითი ჯგუფების მოსვლამდე ვერ მოხერხდა „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზოში შეჭრის პრევენცია. ინფორმაციის მიღების პარალელურად, მობილიზდა დამატებითი საპოლიციო ძალები, სიტუაციის განეიტრალება, ოფისის დაცვა და ადგილზე მყოფი მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების დაცვა“, ხოლო „თბილისი პრაიდის“ დარბევის შესახებ „პოლიციის მხრიდან ინფორმაციის მიღებისთანავე, მოხდა დამატებითი ძალების გაგზავნა აღნიშნულ მისამართზე და აგრესიული ჯგუფების ქმედებები მათი მისვლის შემდეგ დროულად აღიკვეთა“[89].

---

[84] ნადირობა ოპერატორებზე და ჟურნალისტებზე პოლიციის თვალწინ — 14 ისტორია, იხ: https://netgazeti.ge/news/552394/ [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[85] იხ. 56-ე შენიშვნა.

[86] შსს აცხადებს, რომ პრაიდის მხოლოდ 1 და 3 ივლისის ღონისძიების უსაფრთხოებაზე აიღეს პასუხისმგებლობა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31345510.html [ბოლო ნახვა 05.08.2021].

[87] იქვე.

[88] შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ”თბილისი პრაიდის” კვირეულის პარალელურად პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, იხ: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-informatsia-tbilisi-praidis-kvireulis-paralelurad-politsiis-mier-chatarebuli-ghonisdziebebis-shesakheb/14771?fbclid=IwAR2Ik9grcQ-_g7FNBb8bUj6OOU10T64ymoLqQBP7T_lvzkacGjVn6fK5jGo [ბოლო ნახვა 05.08.2021].

[89] იქვე.

შსს-ს ზემოაღნიშნული განმარტება არადამაჯერებელია, რადგან 5 ივლისს პირდაპირ ეთერში გადაცემული კადრებიდან ნათლად ჩანდა, რომ ადგილზე მხოლოდ პოლიციის მცირე რაოდენობა იყო მობილიზებული, რაც არასაკმარისი იყო ძალადობის დროულად აღსაკვეთად. ამასთან, ადგილზე მყოფი სამართალდამცავები ვერ ან არ მოქმედებნენ ეფექტურად.

აღსანიშნავია, რომ 5 ივლისს ხელისუფლების უმოქმედობისა და მის მიერ ძალადობის, აგრესიის და ჰომოფობიის წახალისების შესახებ არაერთი უარყოფითი შეფასება გაკეთდა. მაგალითად, სახალხო დამცველის განცხადებით, „პასუხისმგებლობის მშვიდობიან დემონსტრანტებზე გადატანით, ისედაც დაძაბული ფონი გაამძაფრა, ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამ, რომელმაც ღირსების მარში სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრაიდის უკან „რევანშისტული და რადიკალური“ პოლიტიკური ძალები დგანან“[90]. აშშ-ს ელჩის განცხადებით, „5 ივლისი ძალიან სევდიანი დღე იყო საქართველოსთვის. იმედგაცრუებულები ვართ, რომ მიღებული ცოდნა და აღჭურვილობა არ იყო გამოყენებული, როცა ცხადი გახდა, რომ ამ ხალხში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ძალადობდნენ“[91] და „რა თქმა უნდა, ჩვენ მოველით, რომ პრემიერ-მინისტრმა უნდა ითამაშოს წამყვანი როლი იმ სიტუაციის დასამშვიდებლად, სადაც ძალადობას იყენებენ და დაგმოს ძალადობა საქართველოს მოქალაქეებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ ვნახეთ მისი წამყვანი როლი ძალადობის აღკვეთაში“[92]. ასევე, ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარის თანახმად, რადიკალური მემარჯვენე ელემენტების მიერ პრაიდის მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა წაახალისეს ქართული ოცნების ლიდერებმა და სამარცხვინო იყო, რომ „ქართული ოცნების ლიდერები ყურადღების გადატანას იმ პროფესიონალი ჟურნალისტების დაგმობით ცდილობენ, რომლებიც მხოლოდ თავიანთ საქმეს ასრულებდნენ“[93]. ჟურნალისტებზე ძალადობა და სახელმწიფოს მიერ სათანადო ღონისძიებების მიუღებლობა მწვავედ გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც, რომელთა მიხედვით, „სამოქალაქო სექტორის წინასწარი მოწოდებების მიუხედავად, სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები აქციის ორგანიზატორებისა და მედიის დასაცავად“[94]. ანალოგიურად, საქართველოში ევროკავშირის წარმოამდგენლობისა და ევროკავშირის აკრედიტებული ქვეყნების მისიების შეფასებით,

---

[90] სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, იხ: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-rustavelis-gamzirze-mimdinare-movlenebis-shesakheb [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[91] კელი დეგნანი: პრემიერ-მინისტრი წამყვან როლს უნდა ასრულებდეს სიტუაციის დაწყნარებაში, სამწუხაროდ, 5 ივლისს ეს ვერ დავინახეთ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31351898.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[92] იქვე.

[93] სენატორი კარდინი: 5 ივლისის თავდასხმები ქართული ოცნების ლიდერების მიერ იყო წახალისებული, იხ: https://tabula.ge/ge/news/670249-senatori-kardini-5-ivlisis-tavdaskhmebi-kartuli [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[94] განცხადება ჟურნალისტებზე მასშტაბური ძალადობის შესახებ, იხ: https://www.gdi.ge/ge/news/gancxadeba-jurnalistebze-masshtaburi-dzaladobis-shesaxeb.page [ბოლო ნახვა 03.08.2021].

საქართველოს ხელისუფლებამ „არ უზრუნველყო საკმარისი დაცვა, როდესაც აქტივისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები ხორციელდებოდა“[95].

3.2. 6 ივლისის მოვლენები

6 ივლისს წინა დღის ძალადობის გასაპროტესტებლად პარლამენტის წინ გაიმართა მდუმარე აქცია ათასობით ადამიანის მონაწილეობით[96]. აქციის მთავარი გზავნილები იყო უარი ძალადობას და სიძულვილს, ძალადობის შედეგად დაზარალებულთა და LGBTQI+ თემის მხარდაჭერა, გამოხატვის თავისუფლების და ზოგადად თავისუფლების მხარდაჭერა[97]. აქციის მონაწილეებმა ააფრიალეს LGBTQI+ თემის ცისარტყელის დროშა[98]. პარალელურად, რუსთაველის გამზირის 9 ნომერთან, პარლამენტის მოპირდაპირედ, თბილისის პირველი საჯარო სკოლის წინ მდებარე ქაშვეთის ეკლესიის მხარეს შეკრებილნი იყვნენ ძალადობრივი და სიძულვილის ჯგუფები, რომლებსაც პარლამენტის წინ მყოფთაგან პოლიციის კორდონი და რკინის ჯებირები ჰყოფდა[99]. აღნიშნული ჯგუფების მხრიდან ისმოდა აფეთქებების ხმა[100]. ისინი იყვნენ აგრესიულნი - მდუმარე აქციის მიმართულებით ისროდნენ ქვებს, კვერცხებს, ქვებით სავსე ბოთლებს და ცდილობდნენ პოლიციის კორდონის გარღვევას[101]. ასევე, მედიის ცნობით, სამართალდამცავების მიმართ იყენებდნენ წიწაკის სპრეის[102], ძალადობდნენ მათზე[103]. შედეგად დაშავდა რამდენიმე პოლიციელი[104]. დაახლოებით 23:30 საათიდან მდუმარე აქციის მონაწილეებმა ტერიტორია პოლიციის მიერ უზრუნველყოფილი უსაფრთხო კორიდორების მეშვეობით დატოვეს, ხოლო პარლამენტის წინ გადავიდნენ ძალადობრივი

---

[95] საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების მისიების ხელმძღვანელების მიერ საქართველოს მთავრობისთვის გაგზავნილი წერილი 5 ივლისს, პრაიდის გარშემო განვითარებულ მოვლენებსა და შემდგომ რეაგირებასთან დაკავშირებით, იხ: https://bit.ly/3BeobSd [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[96] „თბილისი პრაიდის“ ინსტაგრამ გვერდზე სურათი, იხ: https://www.instagram.com/p/CQ_unN-DTyQ/ [ბოლო ნახვა 23.07.2021]; ოპოზიციამ, „თბილისი პრაიდმა“ და სამოქალაქო აქტივისტება თბილისში მდუმარე აქცია გამართეს, იხ: https://civil.ge/ka/archives/431033 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[97] იქვე.

[98] იქვე.

[99] პარლამენტთან აქცია იმართება - არის ჯებირის გარღვევის მცდელობა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31344173.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[100] ძალადობრივი ჯგუფები კორდონებს არღვევენ, აქციაზე ისმის აფეთქების ხმები, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31344266.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[101] რუსთაველზე აქცია დასრულდა, აქციის მონაწილეები უარს ამბობენ ტერიტორიის სამარშუტო ტაქსებით დატოვებაზე, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31344298.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[102] იხ. მე-100 შენიშვნა.

[103] რუსთაველზე გამოჩნდა სპეცრაზმი, სიძულვილის ჯგუფები სამართალდამცველებზე ძალადობენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31344308.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[104] ოპოზიციამ, „თბილისი პრაიდმა“ და სამოქალაქო აქტივისტება თბილისში მდუმარე აქცია გამართეს, იხ: https://civil.ge/ka/archives/431033 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

ჯგუფები, რომლებმაც იქ აღმართული ევროკავშირის დროშა მეორედ ჩამოხსნეს, დახიეს და დაწვეს[105]. გავრცელებული ინფორმაციით, შსს-მ 6 ივლისს აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავა 100 პირი, რომელთაგანაც 68 გათავისუფლდა ხელწერილის საფუძველზე, ხოლო 32 პირი რჩებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში[106].

შსს-ს მიერ 30 ივლისს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, „5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე სულ დაკავებულია 31 პირი, კერძოდ: ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დაკავებულია 27 პირი; ,,თბილისი პრაიდის" ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი; 1 პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა"[107]. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე პოლიციას არ დაუკავებია არც ერთი ორგანიზატორი.

ნაწილი II - სამართლებრივი შეფასება

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა

ა) დაცული სფერო და შეფასების სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო"[108]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „**ღირსება არის თითოეული ადამიანის <u>თვითმყოფადობის</u> საფუძველი და თანაბარი გარანტია, <u>იყოს სხვებისგან განსხვავებული</u> საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით**. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი [ამჟამინდელი მე-9 მუხლი] ადამიანის ღირსების ფუნდამენტური პრინციპის აღიარებით სწორედ ასეთი

[105] იქვე.

[106] შსს: 6 ივლისს აქციაზე ადმინისტრაციული წესით 100 პირი დავაკავეთ, მათგან 32 რჩება დროებითი მოთავსების იზოლატორში, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31344918.html [ბოლო ნახვა 05.08.2021].

[107] შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ 2 პირი დააკავა, იხ: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-5-ivliss-/14835 [ბოლო ნახვა 05.08.2021]; აღანიშნავია, რომ GDI-მ პროკურატურისა და შსს-სგან გამოითხოვა ინფორმაცია 5 და 6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული, ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების რაოდენობის შესახებ, მაგრამ 10 აგვისტოს მდგომარეობით პასუხი არ მიგვიღია.

[108] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.

წესრიგის გარანტირებას ემსახურება“[109]. ადამიანის ღირსება არის სწორედ ინდივიდის ყველა უფლებისა და დემოკრატიული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, კონსტიტუციის ქვაკუთხედი და საყრდენი[110]. მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, რომლის „ღირსების დაცვა არის ის, რაც **უპირობოდ** ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან“[111]. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს, რომ „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“[112]. აღნიშნული აკრძალვა არის **აბსოლუტური,** ანუ აკრძალულია ნებისმიერი ჩარევა ადამიანის უფლებაში, რომ იყოს დაცული წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენებისგან[113]. ჩარევას ვერ გაამართლებს ვერანაირი ლეგიტიმური მიზანი და სიკეთე[114]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციამ პოტენციური კონფლიქტი ... [ღირსების პატივისცემის პრინციპით] დაცულ სიკეთესა და კონსტიტუციით დასაცავ ნებისმიერ სხვა ღირებულ ინტერესს შორის, რომლის დაცვის მუდმივი ვალდებულებაც ქვეყნის ხელისუფლებას გააჩნია, **იმთავითვე და უპირობოდ გადაწყვიტა ადამიანის ღირსების სასარგებლოდ**“[115]. საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს პირის მიმართ არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოყენებისაგან, **არამედ უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა მესამე პირთა ჩარევისაგან**“[116]. შესაბამისად, კონსტიტუცია სასხელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ თავშეკავების ნეგატიურ ვალდებულებას, <u>არამედ „მთელ რიგ პოზიტიურ ვალდებულებებს მისი იურისდიქციის ფარგლებში, მათ შორის, ვალდებულებებს,</u> **გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის, ასევე მათზე დროული და ქმედითი რეაგირების თვალსაზრისით**“[117] და „მოითხოვს ისეთი სამართლებრივი სივრცის შექმნას,

---

[109] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§11.

[110] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§§ 2-3.

[111] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§11.

[112] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

[113] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§1.

[114] იქვე, II-§§ 1-2

[115] იქვე, II-§2.

[116] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§182.

[117] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§5.

სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი **საფრთხეების პრევენცია,** ყველა იმგვარი ქმედების იდენტიფიცირება და სამართალდარღვევად გამოცხადება, რომლებიც წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის მოთხოვნას ეწინააღმდეგება, ასევე, **არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დაუყოვნებლივი და სათანადო რეაგირება, ეფექტიანი გამოძიება და პასუხისმგებელ პირთა ადეკვატური დასჯა**"[118]

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული სტანდარტი არსებითად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ევროსასამართლო) მიდგომას. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ თავად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროკონვენცია) მე-3 მუხლზე[119], რომლის თანახმად, „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია"[120]. აღნიშნული დებულება, კონსტიტუციის მსგავსად, ადგენს აბსოლუტურ აკრძალვას[121]. ასევე კონსტიტუციის მსგავსად, ევროკონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლები „სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ მათი იურისდიქციის ფარგლებში ინდივიდები იყვნენ დაცულნი მე-3 მუხლით აკრძალული არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის მაშინ, როდესაც ასეთი მოპყრობა ხორციელდება კერძო პირების მიერ"[122]. ეს ვალდებულება მოიცავს „მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედებებისგან, მათ შორის, იდენტიფიცირებული ინდივიდის ან ინდივიდების ეფექტურ დაცვას ისევე, როგორც გონივრულ ნაბიჯებს იმ არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის, რომლის შესახებ სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ"[123].

ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად „არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს"[124], რაც დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე და ფასდება, მათ შორის, არასათანადო მოპრობის ხანგრძლივობის, კონტექსტისა და ხასიათის, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგების, ასევე ზოგჯერ მსხვერპლის ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით[125]. ევროსასამართლოს თანახმად, „მოპყრობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც დამამცირებელი, როდესაც იგი თავის მსხვერპლებში აღძრავს შიშის, ტანჯვის და

---

[118] იქვე.

[119] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-§178

[120] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლი.

[121] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF M.S.S. v. BELGIUM AND GREECE*, §218.

[122] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, §66.

[123] იქვე.

[124] იქვე, §65.

[125] იქვე.

არასრულფასოვნობის გრძნობებს, რასაც შეუძლია მათი დამცირება და დამდაბლება“[126]. არსებითად იგივე სტანდარტით ხელმძღვანელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მოპყრობის საკმარისი სიმძიმის დასადგენად ითვალისწინებს იმავე ფაქტორებს[127] და რომლის თანახმად, „ღირსების შემლახავია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლს აღუძრავს შიშს, ძლიერ ტკივილს, დამცირების ან დაქვემდებარების შეგრძნებას ან ისეთი ქმედება, რომელიც ახდენს პირის ფიზიკურ ან მორალურ გატეხვას და აიძულებს მას, რომ მოიქცეს საკუთარი შეგნების საწინააღმდეგოდ“[128].

გ) შეფასება

ზემოაღნიშნული სამართლებრივი სტანდარტიდან გამომდინარე, 2021 წლის 5 ივლისს <u>საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტითა და ევროკონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულება, რომ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ინდივიდები, კერძოდ LGBTQI+ თემის წევრები, სამოქალაქო აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები, დაეცვა ჰომოფობიური და ძალადობრივი ჯგუფების მიერ ღირსების შემლახავი, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისგან.</u> ზემოთ აღწერილი მოვლენები - სიძულვილისა და ძალადობრივი ჯგუფების მიერ LGBTQI+ თემის წევრების, სამოქალაქო აქტივისტების და მედიის წარმომადგენლების ქუჩა-ქუჩა დევნა, მათ მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მუქარების განხორციელება, ამ მუქარების რეალიზება LGBTQI+ თემის წევრებზე, სამოქალაქო აქტივისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე მასშტაბური და ორგანიზებული თავდასხმების სახით, მედიის 50-ზე მეტი წარმომადგენლის დაშავება (მათ შორის სერიოზული ფიზიკური დაზიანებებით) და მათი აღჭურვილობის დაზიანება, „თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევა და სამოქალაქო აქტივისტების ოფისის დარბევის მცდელობა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შენობაში ასაფეთქებელი ნივთიერების შეგდება **აშკარად აღწევს არასათანადო მოპყრობის მინიმალურ სტანდარტს, რადგან ამ ქმედებებმა მათ მსხვერპლებში აღძრეს შიშის, ტანჯვის, დაუცველობის და დამცირების განცდა, რაც დასტურდება შემდგომში თავად დაზარალებულების მონაყოლიდან**[129].

ამ დასკვნას ამყარებს საქმეზე *<u>„იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“</u>* ევროსასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა 5 ივლისის ზემოაღწერილი მოვლენების ანალოგიურ კონტექსტს - 2012 წლის 17 მაისს მოსარჩელეების მიერ მშვიდობიანი მარშის მოწყობას ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავად და ამ

[126] იქვე.

[127] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§180.

[128] იქვე, II-§181.

[129] ნადირობა ოპერატორებზე და ჟურნალისტებზე პოლიციის თვალწინ — 14 ისტორია, იხ: https://netgazeti.ge/news/552394/ [ბოლო ნახვა 23.07.2021]; დევნის დღე - 5 ივლისი, იხ: https://bit.ly/3eyPtsE [ბოლო ნახვა 23.07.2021].

მარშის ჩაშლას ჰომოფობი კონტრდემონსტრანტების მიერ[130]. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონტრდემონსტრანტთა ქმედებებმა მიაღწია სიმძიმის მინიმალურ ზღვარს[131]. კერძოდ, საქართველოში არსებული ჰომოფობიური განწყობების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეთა მიმართ რიცხობრივად უფრო მეტი კონტრდემონსტრანტების მიერ განსაკუთრებით შეურაცხმყოფელ სიტყვების („პიდარასტები", „გარყვნილები") გამოყენებამ, სასიკვდილო და სერიოზული დაზიანების მუქარების განცხორციელებამ და ფიზიკური თავდასხმებით ამ მუქარების რეალიზაციამ მიაღწია სიმძიმის მინიმალურ ზღვარს[132].

კონტრდემონსტრანტების აღწერილ ქმედებებთან პარალელის გავლებით თვალსაჩინოა, რომ 2021 წლის 5 ივლისს სიძულვილისა და ჰომოფობიური ჯგუფები ახორციელებდნენ ანალოგიურ (და შეიძლება ითქვას კიდევ უფრო მეტად) აგრესიულ, ძალადობრივ და საშიშ ქმედებებს. **შესაბამისად, მათ მიერ LGBTQI+ თემის წევრების, სამოქალაქო აქტივისტების და მედიის წარმომადგენლების მიმართ მოპყრობამ მიაღწია სიმძიმის მინიმალურ ზღვარს და იყო ღირსების შემლახველი, დამამცირებელი, არაადამიანური.** სწორედ მათი მხრიდან ასეთი მოპყრობის პრევენციისა და აღკვეთის პოზიტიური ვალდებულება დაარღვია საქართველოს ხელისუფლებამ.

კერძოდ, როგორც უკვე ითქვა, 5 ივლისს დაგეგმილ „ღირსების მარშამდე" თბილისი პრაიდის ორგანიზატორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართეს არაერთი შეხვედრა, სადაც მიაწოდეს ინფორმაცია ზოგადად კვირეულისა და კონკრეტულად მარშის შესახებ და სამართალდამცავი უწყებისგან კონკრეტულად მოითხოვეს უსაფრთხოების ზომების მიღება „ღირსების მარშისათვის". ამასთანავე, საზოგადოდ არის ცნობილი საქართველოში გავრცელებული ჰომოფობიური დამოკიდებულება, მათ შორის კი გასულ წლებში LGBTQI+ მხარდამჭერი მსვლელობების გამართვის არაერთი ძალადობრივი ხელშეშლა[133], მაგალითად, თავად ევროსასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღწერილი მოვლენები. რაც მთავარია, 5 ივლისამდე ბევრად ადრე, განსაკუთრებით კი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში პრორუსული, ულტრანაციონალისტური და სიძულვილის არაერთი ჯგუფი <u>**პირდაპირ და ღიად აცხადებდა და იმუქრებოდა**</u>, რომ რუსთაველის გამზირზე მოახდენდნენ საკუთარი წევრებისა და მომხრეების <u>**მაქსიმალურ**</u> მობილიზებას და დაიკავებდნენ გამზირს, ჩაშლიდნენ „ღირსების მარშს" და რომ **მოსალოდნელი იყო მსხვერპლი[134]**. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, <u>ხელისუფლებამ იცოდა</u>

---

[130] ფაქტებისთვის იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, §§ 6-19.

[131] იქვე, §71.

[132] იქვე, §§ 68-71.

[133] 17 მაისის 9 წელი საქართველოში, იხ: https://tabula.ge/ge/news/646487-17-maisis-9-celi-sakartveloshi [ბოლო ნახვა 23.07.2021]; 17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა, იხ: https://bit.ly/3epQFyu [ბოლო ნახვა 23.07.2021]; როგორ აღინიშნებოდა საქართველოში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე - 17 მაისის ქრონოლოგია, იხ:

https://bit.ly/2TjkERu [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[134] იხ. 1-ლი თავი.

5 ივლისს ჰომოფობიურ ნიადაგზე ძალადობისა და აგრესიის სერიოზული რისკის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან რეალურად არ მიიღო სათანადო ზომები არც ამ რისკის რეალიზების პრევენციისთვის და შემდეგ უკვე არც განვითარებული ძალადობისა და აგრესიის შესაჩერებლად.

კერძოდ, როგორც ანგარიშის პირველ თავში ითქვა, რუსთაველზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო მობილიზებული საკმარისი რაოდენობით პოლიცია, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინიებით, რომ ძალადობრივ ჯგუფებს წინასწარ ჰქონდათ გამოცხადებული სრული მობილიზაციისა და რუსთაველის დაკავების შესახებ. მართალია, წინასწარ გაკეთებული განცხადებები მიემართებოდა LGBTQI+ თემს, მაგრამ სახელმწიფოს არც მაშინ არ ჰქონია დროული და ეფექტური რეაგირება, როდესაც სიძულვილის ჯგუფებმა დაიწყეს უშუალოდ ჟურნალისტების წინააღმდეგ მუქარა და თავდასხმა, რაც გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით. კერძოდ, ადგილზე არასაკმარისი ოდენობით მყოფი სამართალდამცავები იყვნენ უმოქმედონი ან მოქმედებდნენ დაგვიანებით და ფორმალურად. როგორც ზემოთ აღინიშნა, „სირცხვილიას“ ოფისთან მყოფმა სულ რამდენიმე პოლიციელმა, მაგალითად, ვერ ან არ შეაჩერა აგრესიული ბრბოს წევრები სადარბაზოში შეჭრისგან, სადარბაზოში მედიის წარმომადგენლებზე ძალადობისგან, კერძო საკუთრების დაზიანებისგან და, უფრო მეტიც, შემდომში პოლიციამ თავად შეუშვა ზოგიერთი მათგანი უკვე დარბეული სადარბაზოს დასათვალიერებლად, ანუ რეალურად ითანამშრომლა მათთან.

ანალოგიურად, „თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისას ადგილზე იყო სულ რამდენიმე პოლიციელი, რომლებმაც აგრესიული ჯგუფის წევრები ვერ ან/და არ შეაჩერეს[135]. ჰომოფობიური ჯგუფები თბილისში ერთი ლოკაციიდან მეორე ლოკაციამდე ფაქტობრივად თავისუფლად და ორგანიზებულად გადაადგილდებოდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ მოქალაქეებს, რასაც ხელისუფლებამ არა მარტო არ შეუშალა ხელი, არამედ წაახალისა კიდეც პრაიდის კვირეულის საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული განცხადებებით, უპირველეს ყოვლისა კი 5 ივლისს, პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ზემოაღნიშნული განცხადებით „ღირსების მარშის“ მიზანშეუწონლობის შესახებ.

ხელისუფლების მიერ სიძულვილის ნიადაგზე ძალადობის წაქეზება ეწინააღმდეგება მის კონვენციურ ვალდებულებებს. ამ მხრივ, რელევანტურია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *BEGHELURI AND OTHERS v. GEORGIA*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელეების, იეჰოვას მოწმეების, წინააღმდეგ რელიგიურად მოტივირებული მასშტაბური ძალადობის სხვადასხვა შემთხვევას როგორც კერძო პირების, ისე საჯარო ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით და ამ შემთხვევების არაეფექტურ გამოძიებას[136]. ამ გადაწყვეტილებაში ევროსასამართლოს თანახმად, „ასეთი ქმედებების [კანონსაწინააღმდეგო ქმედებების, კერძოდ არასათანადო მოპყრობის] მიმართ სახელმწიფოს მიერ შემწყნარებლობა მხოლოდ და მხოლოდ ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოს მიერ კანონის უზენაესობის

[135] მოძალადეები თბილისი პრაიდის ოფისში აივნიდან გადაძვრნენ, იხ: https://mtavari.tv/news/49437-modzaladeebi-tbilisi-praidis-opisshi-aivnidan [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[136] დეტალურად ფაქტებისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF BEGHELURI AND OTHERS v. GEORGIA*, §§ 5-72.

შენარჩუნებისადმი“[137]. ამ საქმეში, მაგალითად, ძალადობის ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ ევროსასამართლოს განმარტებით, პოლიციამ არაფერი არ მოიმოქმედა იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეკრების ჩაშლისა და მათზე თავდასხმის თავიდან ასაცილებლად მიუხედავად იმისა, რომ უნდა სცოდნოდა თავდასხმის რეალური რისკის შესახებ საქართველოში იეჰოვას მომწეების მიმართ ფართოდ გავრცელებული მტრული დამოკიდებულების გათვალისწინებით[138]. პოლიციამ არათუ არ მიიღო პრევენციული ზომები, არამედ იეჰოვას მოწმეთა შეკრების ადგილას ავტობუსით მისვლის შესაძლებლობა მისცა მართლმადიდებელ ექსტრემისტ-რადიკალებს და შემდეგ ადგილზე უარი თქვა მათ შეჩერებაზე[139]. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადინა, რომ ძალადობრივი ქმედებები განხორციელდა სახელმწიფო ოგრანოების წარმომადგენლების თანდასწრებით, კერძოდ მათი ჩუმი, ნაგულისხმევი თანხმობით/მოწონებით და მოძალადეების ნებაზე მიშვებით[140]. აღნიშნული წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ მოსარჩელეთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ხელშეწყობას, გამარტივებას და თავიდან არაცილებას[141]. უფრო მეტიც, კერძო პირების მიერ ძალადობის წაქეზებით, თვალის დახუჭვით და მოძალადეთა ნებაზე მიშვებით სახელმწიფომ შექმნა დაუსჯელობის განცდა, რომელმაც მთელ ქვეყანაში წაახალისა იეჰოვას მოწმეებზე სხვა თავდასხმები[142]. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა საქართველოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა[143]. ანალოგიურად, **2021 წლის 5 ივლისს და მის წინსმწრებ პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულმა ჰომოფობიური ხასიათის განცხადებებმა მწვანე შუქი აუნთეს 5 ივლისს განხორციელებულ აგრესიას, ძალადობას. ეს წამახალისებელი ეფექტი დღემდე გრძელდება იმ თვალსაზრისით, რომ ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფების არცერთი ორგანიზატორი ხელისუფლებას ჯერ არ დაუკავებია. აღნიშნული კი ქმნის მომავალში ძალადობის ხელახლა განხორციელების სერიოზულ საფრთხეს.**

გარდა ამისა, პარალელი შეიძლება გავავლოთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეზე *IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA,* რომელშიც სასამართლომ ანალოგიურ ჰომოფობიურ გარემოებებში დაადგინა ხელისუფლების მიერ მოსარჩელეთა სათანადოდ დაცვის პოზიტიური ვალდებულების დარღვევა[144]. კერძოდ, სასამართლოს განცხადებით, მუნიციპალურმა და სამართალდამცავმა უწყებებმა იცოდნენ LGBTQI+ თემის დაგეგმილი მარშის შესახებ, თემმა ამ უწყებებისგან კონკრეტულად მოითხოვა მოსალოდნელი საპასუხო ჰომოფობიური პროტესტისგან დაცვის უზრუნველყოფა, ასევე

---

[137] იქვე, § 99.

[138] იქვე, §§ 119-121.

[139] იქვე, § 120.

[140] იქვე, § 121.

[141] იქვე, § 145.

[142] იქვე.

[143] იქვე, § 121, 146.

[144] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, §74.

გასათვალისწინებელი იყო წარსული ჰომოფობიური გამოცდილება[145]. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ LGBTQI+ მოწყვლადი თემის საჯარო ღონისძიებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ და ამიტომ ეკისრებოდათ თემისთვის გაძლიერებული დაცვის უზრუნველყოფა[146]. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციის ადგილზე შეზღუდული იყო პოლიციელთა რაოდენობა და, ამასთანავე, პოლიციელები გაუფრთხილებლად დაშორდნენ დაძაბულობის ადგილს, რითაც ხელი შეუწყვეს მოსარჩელეების მიმართ ჰომოფობიური ძალადობის დაწყებას, ხოლო დამატებითი სამართალდამცავების მოსვლისას მოსარჩელეები და LGBTQI+ თემის მსვლელობის სხვა მონაწილეები უკვე შეურაცხყოფის, დამცირების და თავდასხმის მსხვერპლნი იყვნენ[147]. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა საქართველოს მიერ ევროკონვენციის (მე-14 მუხლთან ერთობლიობაში) მე-3 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა[148].

მოყვანილი სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, 2021 წლის 5 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები და ევროკონვენციის მე-3 მუხლი.

2. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ევროკონვენციის მე-11 და მე-14 მუხლების დარღვევა

ა) დაცული სფერო და შეფასების სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“[149]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეკრების თავისუფლება წარმოადგენს გამოხატვის სპეციალურ ფორმას და შედგება 2 თანაბარი ელემენტისგან: „შეკრება და მანიფესტაცია, როგორც აზრის გამოხატვის ფორმა (უფლების ფორმალური მხარე) და კონკრეტული აზრი, რომელსაც შეკრება ან მანიფესტაცია ემსახურება“[150]. ხსენებული ფუნდამენტური უფლება ინდივიდს „(მისი პოლიტიკური, სოციალური, არტისტული რელიგიური და ა.შ.) გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას

[145] იქვე, §72.

[146] იქვე.

[147] იქვე, §73.

[148] იქვე,§81.

[149] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[150] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§4.

აძლევს. შეკრება და მანიფესტაცია შეიძლება იყოს პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი ელემენტი, ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას და ა.შ."[151]. შესაბამისად, ცხადია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მჭიდრო ურთიერთკავშირი და მათი ფუნდამენტური როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეული ინდივიდისა და თავად საზოგადოების განვითარებისთვის, თავისუფალი დისკუსიისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის, საჯარო პროცესებსა და სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისათვის.

მიუხედავად ამისა, შეკრების თავისუფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს იმავე საფუძვლით, რომლითაც შესაძლებელია მოხდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა[152]. აღნიშნული არ ნიშნავს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებობას იმ საფუძვლით, რომ აზრი, რომლის გამოხატვასაც შეკრება ემსახურება, მიუღებელია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისა ან უმრავლესობისათვის. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ თმენის ვალდებულება იმ მოსაზრებების მიმართ, რომელთაც ისინი არ იზიარებენ ან, თუნდაც თვლიან ზნეობრივად გაუმართლებლად"[153] და „ზოგადად, სახელმწიფოს არ შეუძლია, შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება იმ საფუძვლით, რომ გარკვეული ინფორმაცია ან იდეები შეიძლება ემოციურად გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს ან მიუღებელი საქციელის წამახალისებელი იყოს"[154], ასევე „სახელმწიფოს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაყოს აზრები „მართებულ" თუ „არამართებულ", „სასურველ„ თუ „არასასურველ" და სხვა სახის კატეგორიებად"[155]. რაც მთავარია, გამოხატვის თავისუფლება „მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც"[156]. სახელმწიფოს ვალდებულებების თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეკრების კონსტიტუციური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, იგი არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი არ შეუშალოს

---

[151] იქვე.

[152] იქვე, §5.

[153] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-§7.

[154] იქვე.

[155] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის 1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-§41.

[156] იქვე, §40.

მშვიდობიანი შეკრების პროცესს, არამედ კონსტიტუცია ქმნის თავად ამ პროცესის მშვიდობიანად წარმართვის დაცვის ვალდებულებას. შეკრების მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, მათ შორის, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნისა და მისი ეფექტური იმპლემენტაციის გზით"[157].

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული სტანდარტი მნიშვნელოვნად შეესაბამება ევროსასამართლოს მიდგომას ევროკონვენციის მე-11 მუხლის მიმართ, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად"[158]. ამ დებულების ინტერპრეტაციისას ევროსასამართლო ყურადღებას ამახვილებს პლურალიზმზე, ტოლერანტობასა და ღიაობაზე, როგორც დემოკრატიის საყრდენებზე და განმარტავს, რომ დემოკრატია არ ნიშნავს უმრავლესობის შეხედულებებისთვის უპირატესობის ყოველთვის მინიჭებას[159]. სწორედ სახელმწიფო უნდა იცავდეს პლურალიზმსა და ტოლერანტობას[160]. შესაბამისად, ევროსასამართლოს თანახმად, „მშვიდობიანმა დემონსტრაციამ შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს იმ ადამიანებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმ იდეებსა თუ მოთხოვნებს, რომელთა მხარდაჭერას დემონსტრაცია ცდილობს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დახმარებით მონაწილეებს უნდა შეეძლოთ დემონსტრაციის ჩატარება იმ შიშის გარეშე, რომ ისინი მოწინააღმდეგეების მიერ ფიზიკურ ძალადობას დაექვემდებარებიან"[161] და „დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტრ-აქციის უფლება არ ვრცელდება დემონსტრაციის უფლების რეალიზების ხელშეშლაზე"[162]. ევროსასამართლოს მიხედვით, შეკრების თავისუფლება იქნება მხოლოდ ილუზორული, მოჩვენებითი გარანტია, თუ სახელმწიფოს ვალდებულება შემოიფარგლება შეკრების თავისუფლებაში არჩარევის მხოლოდ ნეგატიური ვალდებულებით[163]. შესაბამისად, სახელმწიფოს საჭიროების შემთხვევაში ეკისრება ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება კერძო პირთა შორის ურთიერთობაშიც, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება არაპოპულარულ მოსაზრებებს და უმცირესობების წარმომადგენლებს[164].

---

[157] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", §8.

[158] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[159] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, §93.

[160] იქვე, §94.

[161] იქვე, §95.

[162] იქვე.

[163] იქვე, §94.

[164] იქვე.

ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ევროკონვენციის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად, „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად“[165]. 2012 წლის 17 მაისს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას როგორც მე-3, ასევე მე-11 მუხლის დარღვევა სწორედ მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დაუდგინა.[166] ამ შემთხვევაში საქართველომ არ უზრუნველყო მოსარჩელეების, როგორც LGBTQI+ თემის მხარდამჭერების, მიერ ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავი მარშის ჩატარება მშვიდობიან გარემოში და მათი დაცვა აგრესიული კონტრაქციის მონაწილეებისგან მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა ჰომოფობიური დამოკიდებულებიდან მომდინარე საფრთხის შესახებ[167]. აქედან გამომდინარე, სასამართლოს განცხადებით სახელმწიფომ არ უზრუნველყო მოსარჩელეების მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. შესაბამისად, ერთობლივად დაირღვა ევროკონვენციის მე-11 და მე-14 მუხლები[168].

გ) შეფასება

ზემოაღნიშნული სტანდარტიდან გამომდინარე, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი „ღირსების მარში“, საზოგადოების გარკვეული ნაწილის უარყოფითი განწყობის მიუხედავად, დაცული იყო შეკრების თავისუფლებით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ევროკონვენციის მე-11 მუხლის საფუძველზე. ევროსასამართლოს პირდაპირი განმარტებით, კონვენცია იცავს მშვიდობიანი შეკრების გამართვით სექსუალური უმცირესობების უფლებებზე ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების შესახებ მოსაზრებების გამოხატვას[169]. მართლაც, „ღირსების მარშის“ ზემოთ აღწერილი გზავნილები იყო სწორედ სახელმწიფოს მეირ LGBTQI+ თემის და არა მარტო ამ თემის უფლებების დაცვისა და შემხვედრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა. ამ გზავნილების გაჟღერება ანუ შეკრების უფლებით სარგებლობა LGBTQI+ თემმა და „ღირსების მარშის“ სხვა მონაწილეებმა ვერ შეძლეს - **„ღირსების მარში“ ვერ გაიმართა სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული მუხლებიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის გამო.**

---

[165] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლი.

[166] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, §§ 92, 100.

[167] იქვე, §§ 97-100.

[168] იქვე, § 100.

[169] იქვე, §97.

როგორც უკვე ითქვა, LGBTQI+ თემის წევრებსა და აქტივისტებს, რომლებსაც უნდა ჩატარებინათ „ღირსების მარში“, თბილისის სხვადასხვა ქუჩაში დასდევდნენ ძალადობრივი და სიძულვილის ჯგუფები, რისი პრევენციისა და შემდეგ უკვე შეჩერებისთვის სახელმწიფოს არ მიუღია სათანადო ზომები. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია პარალელის გავლება ევროსასამართოს ზემოაღნიშნულ საქმესთან, რომელშიც, ევროსასამართლოს თანახმად, სახელმწიფო უწყებები 2012 წელსაც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი LGBTQI+ თემის მხარდამჭერი მარშის ორგანიზატორების მიერ და, საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულების გათვალისწინებით, იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ მარშთან დაკავშირებული რისკების შესახებ[170]. მიუხედავად ამისა, მათ მარშის გამართვამდე (17 მაისამდე) 9 დღიან პერიოდში არ მიუღიათ მოსამზადებელი ზომები, ხოლო უშუალოდ LGBTQI+ თემის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ ადგილზე მყოფი სამართალდამცავების რაოდენობა არასაკმარისი იყო და გონივრული იქნებოდა მეტი საპოლიციო ძალის, მაგალითად, საზოგადოებრივი არეულობის საწინააღმდეგო პოლიციის (a squad of anti-riot police) მობილიზება[171]. შესაბამისად, ევროსასამართლოს განმარტებით, საქართველომ ვერ უზრუნველყო ჰომოფობი და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების შეკავება, მშვიდ გარემოში მარშის გამართვა და შედეგად დაარღვია ევროკონვენციის მე-11 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულება მე-14 მუხლთან ერთობლიობაში[172].

ანალოგიურად, 2021 წლის 5 ივლისს, როგორც არაერთხელ ითქვა, არასაკმარისმა საპოლიციო ძალებმა არ ან/და ვერ აიცილეს თავიდან და შემდგმოში არ ან/და ვერ შეაჩერეს აგრესიული, ჰომოფობიური ჯგუფების მიერ „ღირსების მარშის“ ორგანიზატორების, LGBTQI+ თემის წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ მუქარა, დევნა და მათი ოფისების დარბევა მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებიდან მუქარა 5 ივლისამდე ბევრად ადრეც ჟღერდებოდა და „თბილისი პრაიდი“ როგორც ხელისუფლებასთან შეხვედრებზე, ასევე საჯაროდ ითხოვდა დაცვას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ვერ ან არ უზრუნველყო ჰომოფობიურად განწყობილი ჯგუფებისგან უსაფრთხო გარემო „ღირსების მარშის“ ჩასატარებლად, ანუ ვერ ან და არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. შედეგად, მარშის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ, მარში გაეუქმებინათ.

უფრო მეტიც, როგორც უკვე ითქვა, <u>ხელისუფლების წარმომადგენლების ზემოაღნიშნულმა განცხადებებმა წაახალისა აგრესია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკონვენციურ სტანდარტს.</u> კერძოდ, ევროსასამართლომ განმარტა, რომ საქართველოში არსებული ჰომოფობიური კონტექსტის გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანოებს „ეკისრებოდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ნებისმიერი შესაძლო ზომა, მაგალითად დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების გაკეთებით, რათა ბუნდოვანების გარეშე მხარი დაეჭირათ ტოლერანტული, მშვიდობიანი პოზიციისთვის და რათა პოტენციური

[170] იქვე, §99.

[171] იქვე.

[172] იქვე, §100.

სამართალდამრღვევები გაეფრთხილებინათ შესაძლო სანქციების ბუნების შესახებ“[173]. ანალოგიურად, სხვა საქმეში, იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ რელიგიურად მოტივირებული ძალადობის შესახებ, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ, როგორც მოპასუხემ, ამ ძალადობაზე თვალის დახუჭვით დაარღვია კონვენციური ვალდებულება[174]. ეს ვალდებულება სახელმწიფომ ასევე არ შეასრულა 2021 წლის 5 ივლისს, რის გამოც არაერთი კრიტიკული შეფასება დაიმსახურა. მაგალითად, ევროპარლამენტარების განცხადებით, „პრაიდის მსვლელობის წინ საქართველოს ხელისუფლებამ და რელიგიურმა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ხმამაღლა და მკაფიოდ ესაუბრათ ჰომოფობიური რიტორიკის წინააღმდეგ. ჩვენ ვგმობთ ტოლერანტობისადმი მიძღვნილი ამ შეკრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ხელისუფლების მზაობის ნაკლებობას“[175]. ანალოგიურად, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის აკრედიტებული ქვეყნების მისიების ხელმძღვანელების წერილის თანახმად, „ხელისუფლებამ საჯაროდ არ მოუწოდა დაეცვათ ისინი, ვინც მშვიდობიანად აღნიშნავდა პრაიდთან დაკავშირებულ ღონისძიებებს; ასევე, არ მიიღო სხვა აუცილებელი ზომები, რომ თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა სიძულვილის გაღვივებაზე მიმართული გამოსვლები. და ბოლოს, არ უზრუნველყო საკმარისი დაცვა, როდესაც აქტივისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები ხორციელდებოდა“[176]. ასევე, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში Amnesty International-ის დირექტორის მოადგილის პოზიციით, „საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია იმაზე, რომ ვერ უზრუნველყო ლგბტ აქტივისტებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოება და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება. იმის მაგივრად, რომ გაეთვალისწინებინათ აქციის ძალადობრივი ხასიათი და შესაძლო რისკები, გაეცათ სათანადო პასუხი სასტიკ თავდასხმებზე, მაღალჩინოსნებმა პრაიდის წევრებს მოუწოდეს უარი ეთქვათ თავიანთ გეგმებზე“[177].

მოყვანილი სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია შეკრების თავისუფლება - საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და ევროკონვენციის მე-11 და მე-14 მუხლებით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებები.

---

[173] იქვე, §99.

[174] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF BEGHELURI AND OTHERS v. GEORGIA,* § 121, 145-146.

[175] Joint statement by: the Chair of the Delegation for relations with the South Caucasus, MEP Marina KALJURAND, the European Parliament's Standing Rapporteur on Georgia, MEP Sven MIKSER, and - the DEG Lead Member for Georgia, MEP Viola von CRAMON TAUBADEL on the cancellation of the Tbilisi Pride Strasbourg, 6 July 2021, იხ: https://bit.ly/3irpLYu [ბოლო ნახვა 23.07.2021]; ევროპარლამენტარები თბილისში განხორციელებულ ძალადობას გმობენ, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31345556.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[176] იხ. 95-ე შენიშვნა.

[177] Amnesty International: საქართველოს ხელისუფლებამ ვერაფერი დაუპირისპირა ჰომოფობიურ ძალადობას, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31342277.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა

ა) დაცული სფერო და შეფასების სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“[178], მე-2 პუნქტის მიხედვით კი „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“[179], ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია“[180]. გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტური მნიშნელობისა და ფუნქციის მქონეა, რადგან „აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“[181]. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი, მისი და თითოეული ინდივიდის განვითარების პირობაა[182]. კონსტიტუციის მე-17 მუხლი უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას და მიღებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან და ინფორმაციის მატარებლებიდან[183]. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პირის უფლება, თავისუფლად გაავრცელოს აზრი, ინფორმაცია, შეხედულებები, არამედ აგრეთვე ის საშუალებები, რომლებიც აზრის, შეხედულებების გამოთქმის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები, მათ შორის, რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა, აგრეთვე ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები“[184]. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება იცავს საზოგადოებას დიქტატორული და რეპრესიული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ჩახშული ინფორმაციული ვაკუუმისგან, ვინაიდან ისინი „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებისა და ინდივიდების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, აზრის ფორმირების ერთ-ერთი ცენტრალური, ფართომასშტაბიანი და ეფექტური პლატფორმაა. სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეუფერხებელი, ავტონომიური, ჯეროვანი და დამოუკიდებელი საქმიანობა განაპირობებს საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის

---

[178] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[179] იქვე, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

[180] იქვე, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი.

[181] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „ „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალევი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-§54.

[182] იქვე.

[183] იქვე, II-§57.

[184] იქვე, II-§ 56.

მიერ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკულ და ეფექტურ რეალიზაციას“[185]. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სახელმწიფო ვერ იქნება წარმატებული დამოუკიდებელი, თავისუფალი მედიის გარეშე[186].

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მსგავსად, ევროსასამართლოც აღიარებს ევროკონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტს და როგორც დემოკრატიული საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის განვითარებისა და წინსვლის წინაპირობას[187]. ევროკონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“[188]. ამ დებულებით, ევროსასამართლოს თანახმად, დაცულია არა მარტო იდეები და ინფორმაცია, რომლებიც მიღებული, აღქმულია დადებითად, არაშეურაცხმყოფლად ან ინდიფერენტულად, არამედ ის იდეები და ინფორმაციაც, რომელიც შოკის მომგვრელი, შეურაცხმყოფელი და ამაღელვებელია[189]. ამასთანავე, ევროსასამართლოს მიხედვით, მედიას აქვს არსებითი დანიშნულება დემოკრატიულ საზოგადოებაში[190]. კერძოდ, მისი ფუნქციაა (საჯარო ინტერესის საკითხების შესახებ) იდეებისა და ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისად, ე.წ. საჯარო დამკვირვებლის (public watchdog) როლის შესრულება, ხოლო ამ ინფორმაციისა და იდეების მიღება საზოგადოების უფლებაა[191]. ევროსასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა საჭიროებს არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ჩაურევლობას, ანუ ნეგატიური ვალდებულების დაცვას, არამედ ასევე „დაცვის პოზიტიურ ზომებს, ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი“[192]. კერძოდ, ევროსასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოები, ავტორებისა და ჟურნალისტების დაცვის ეფექტური სისტემის შექმნასთან ერთად, ვალდებული არიან შექმნან აზრის გამოხატვისა და დისკუსიისთვის მეგობრული, ხელსაყრელი გარემო, რომელშიც უზრუნელყოფილია მონაწილეობა საჯარო დებატებში და შიშის გარეშე აზრისა

---

[185] იქვე, II-§58.

[186] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-§6.

[187] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF SATAKUNNAN MARKKINAPÖRSSI OY AND SATAMEDIA OY v. FINLAND*, §124.

[188] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[189] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF SATAKUNNAN MARKKINAPÖRSSI OY AND SATAMEDIA OY v. FINLAND*, §124.

[190] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF UKRAINIAN MEDIA GROUP v. UKRAINE,* §38.

[191] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF SATAKUNNAN MARKKINAPÖRSSI OY AND SATAMEDIA OY v. FINLAND*, §§125-126.

[192] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF ÖZGÜR GÜNDEM v. TURKEY*, §43.

და იდეების გამოთქმა ყველასთვის (ვისაც დისკუსიის საგანი ეხება) მაშინაც კი, როდესაც ეს მოსაზრებები ეწინააღმდეგება სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის შეხედულებებს ან მათთვის შოკისმომგვრელი ან გამაღიზიანებელია[193].

გ) შეფასება

გამოხატვის თავისუფლებიდან მომდინარე ზემოაღნიშნული პოზიტიური ვალდებულება დაარღვია საქართველოს ხელისუფლებამ 2021 წლის 5 ივლისს, როდესაც არ უზრუნველყო სიძულვილისა და ძალადობრივი ჯგუფებისაგან მედია წარმომადგენლების უსაფრთხოების დაცვა და მშვიდ, უსაფრთხო გარემოში მედიის მიერ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება, ანუ გამოხატვის თავისუფლების რეალიზება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს არ ჰქონია დროული და ეფექტური რეაგირება, როდესაც სიძულვილის ჯგუფებმა დაიწყეს უშუალოდ ჟურნალისტების წინააღმდეგ მუქარა და თავდასხმა, რაც გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით. ვიდეოკადრებში, მაგალითად, ჩანს, თუ როგორ ძალადობენ ერთდროულად აგრესიული ბრბობს წევრები „ფორმულას“ ჟურნალისტ რატი წვერავაზე, რომლის მიხედვით, რამდენიმე მეტრი ათრიეს ისე, რომ არცერთი პოლიციელი არ გამოჩენილა დასახმარებლად და მხოლოდ ქაშვეთის ეკლესიასთან იყო მარტო ერთი სამართალდამცავი[194]. სახელმწიფო თითქმის უმოქმედოდ უყურებდა ძალადობას, რის შედეგადაც მედიის სულ მცირე 53 წარმომადგენელი დაშავდა და დაზიანდა მათი ტექნიკა, „TV პირველის“ ნაცემი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა კი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

აღნიშნულის გამო საქართველოს ხელისუფლებამ დაიმსახურა მწვავე კრიტიკა. როგორც აღინიშნა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და დიპლომატიურმა კორპუსის, ასევე Amnesty International-ის წარმომადგენლის პოზიციით, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ჟურნალისტების უსაფრთხოება და საკმარისი დაცვა[195]. ანალოგიურად, საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ (Reporters Without Borders) გაავრცელა პრესრელიზი, რომლის თანახმად, „ულტრამემარჯვენე აქტივისტებმა 5 ივლისს ფიზიკური თავდასხმა განახორციელეს 50-ზე მეტ ჟურნალისტზე, რომლებიც თბილისში პრაიდის მარშს აშუქებდნენ, მაშინ, როცა პოლიცია საქმეში არ ჩარეულა. „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ გმობს დანაშაულებრივ პასიურობას, რომელიც ხელისუფლებამ გამოიჩინა და გამოდის მოწოდებით, დაისაჯოს ყველა, ვინც პასუხისმგებელია ამ უკანონო ქმედებებისთვის“[196].

---

[193] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეში *DINK v. TURKEY*, §137.

[194] მირტყამდნენ გამეტებით… უნდოდათ, მოვეკალი — წვერავა თავდასხმას იხსენებს, იხ: https://netgazeti.ge/news/552245/ [ბოლო ნახვა 23.07.2021]; "ასამდე პირი მირტყამდა და პოლიციელი არ გამოჩენილა" - რას ყვება ფორმულას ნაცემი ჟურნალისტი, იხ: https://formulanews.ge/News/53043 [ბოლო ნახვა 23.07.2021];

[195] იხ. 95-ე და 177-ე შენიშვნები.

[196] RSF: 53 ჟურნალისტზე თავდასხმა საქართველოში პრესის თავისუფლების სფეროში სერიოზული უკუსვლაა, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31346137.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

ასევე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შეფასებით, „ხელისუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები ძალადობის აღსაკვეთად და რიგ შემთხვევებში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების განცხადებებმა წაახალისა კიდეც ძალადობრივი ჯგუფების ქმედებები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს ვერ დაიცვა ჟურნალისტები ფიზიკური ძალადობისგან, ასევე ვერ უზრუნველყო მედიის უსაფრთხო საქმიანობა“[197]. ამ მხრივ, პარალელის გავლება შესაძლებელია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან საქმეში „*CASE OF ÖZGÜR GÜNDEM v. TURKEY“,* რომელშიც მოპასუხე ქვეყნის უწყებებმა მოსარჩელის, ყოველდღიური გაზეთის უსაფრთხოებისთვის არ მიიღეს სათანადო დაცვის ზომები მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ რამდენჯერმე განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები[198]. შესაბამისად, თურქეთმა დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, ვერ უზრუნველყო მოსარჩელის მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა[199]. ასევე, საქმეში *DİNK v. TURKEY* სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, რადგან ვერ დაიცვა მოსარჩელე ჟურნალისტი რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფების თავდასხმისგან[200].

ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, 2021 წლის 5 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ ვერ ან არ უზრუნველყო ძალადობრივი და სიძულვილის ჯგუფებისგან მედიის წარმომადგენლების სათანადო დაცვა და ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, მან დაარღვია გამოხატვის თავისუფლება - საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 პუნქტებითა და ევროკონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლება.

შეჯამება

2021 წლის 5 ივლისს ხელისუფლებამ არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის წევრების, მხარდამჭერების, აქტივისტებისა და მედიის წარმომადგენლების ეფექტური დაცვა სიძულვილის და ძალადობრივი ჯგუფებისაგან. შედეგად ფიზიკურად დაშავდნენ რიგითი ადამიანები, აქტივისტები და ჟურნალისტები, დაზიანდა მედიის ტექნიკა და ჩაიშალა „ღირსების მარში“. რაც კიდევ უფრო მეტად საგანგაშოა, **ხელისუფლებამ არა მხოლოდ არ მიიღო ეფექტური თავდაცვითი და პრევენციული ზომები, არამედ თავად წაახალისა ძალადობა და აგრესია „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ მიმართული ჰომოფობიური, ანტიდემოკრატიული განცხადებებით**. წამახალისებელი ეფექტი გრძელდება, რადგან ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ სიძულვილის ჯგუფების ორგანიზატორები. შედეგად, ჩნდება დაუსჯელობის განცდა ძალადობაში მონაწილე პირებში, ასევეე - დაუცველობისა და შიშის

---

[197] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია: დადგეს ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/31352900.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[198] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF ÖZGÜR GÜNDEM v. TURKEY*, § 44

[199] იქვე, §46.

[200] საქმეში *DINK v. TURKEY* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების მიმოხილვა, იხ: https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22002-808%22]} [ბოლო ნახვა 23.07.2021].

განცდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი LGBTQI+ თემში, აქტივისტებსა და ჟურნალისტებში. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ დაარღვია გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილი პოზიტიური ვალდებულება.

სამწუხაროდ 5 ივლისის მოვლენები არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები, რათა LGBTQI+ თემს ესარგებლა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. როგორც ითქვა, ევროსასამართლომ დაადგინა საქართველოს მიერ ევროკონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების დარღვევა (მე-14 მუხლთან ერთობლიობაში), რადგან 2012 წელს სახელმწიფომ ვერ დაიცვა LGBTQI+ თემის აქტივისტები კონტრდემონსტრანტებისგან[201]. LGBTQI+ თემის მიერ რუსთაველზე დაგეგმილი აქცია კიდევ უფრო მასშტაბურად ჩაიშალა 2013 წლის 17 მაისსაც, როდესაც მართლმადიდებელი სასულიერო პირების ორგანიზებით მოწყობილი კონტრდემონსტრაციის წევრებმა გაარღვიეს პოლიციის ცოცხალი ჯაჭვი და LGBTQI+ თემის აქტივისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ[202]. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც საპატრიარქომ ჰომოფობიური ხასიათის განცხადება გაავრცელა[203]. ასევე უნდა ითქვას, რომ 2013 წელსაც მაშინდელ შს მინისტრსა და ამჟამინდელ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს მსგავსი რიტორიკა ჰქონდა, კერძოდ 17 მაისის მოვლენებს პროვოკაცია უწოდა[204]. გარდა ამისა, მომდევნო 2014 წელს აქტივისტებმა პუშკინის სკვერში მოაწყვეს აქცია-ინსტალაცია "უხილავების პროტესტი"[205], მაგრამ საფრთხის გამო საჯარო სივრცეში ვერ გამოვიდნენ[206], რაც იმას ადასტურებს, რომ არ არსებობდა სახელმწიფოს მიერ მათი დაცვის მოლოდინი. ასევე, 2014 წლიდან საპატრიარქოს მიერ 17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სიწმინდის დღედ[207], რაც მომდევნო წლებში აღინიშნდებოდა, როგორც ერთგვარი კონტრაქცია LGBTQI+ თემის წინააღმდეგ. 2016 წლის მაისში LGBTQI+ თემის აქტივისტებმა „განაცხადეს, რომ ისინი აქციას არ გამართავდნენ, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია, დაიცვას მათი უსაფრთხოება“[208]. 2017 წელს აქტივისტებმა მთავრობის კანცელარიასთან მხოლოდ ერთი საათით გამართეს აქცია, რომელშიც წინასწარ რეგისტრირებული პირები მონაწილეობდნენ და რომლის

[201] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA*, სარეზოლუციო ნაწილი.

[202] 17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა, იხ: https://bit.ly/3eAjOY2 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[203] ”ეს იგივეა, მოგწონდეს ნარკომანის ქმედება...” - პატრიარქი 17 მაისის აქციაზე ნებართვის გაუქმებას ითხოვს, იხ: https://www.kvirispalitra.ge/public/17120-es-igivea-mogtsondes-narkomanis-qmedeba-patriarqi-17-maisis-aqciaze-nebarthvis-gauqmebas-ithkhovs.html [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[204] ღარიბაშვილი: მე ვიცი, ვინ იდგა 17 მაისს დაგეგმილი პროვოკაციის უკან, იხ: https://tabula.ge/ge/news/553786-gharibashvili-me-vitsi-vin-idga-17-maiss [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[205] როგორ აღინიშნებოდა საქართველოში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე - 17 მაისის ქრონოლოგია, იხ: https://bit.ly/2UiGuVS [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[206] 17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა, იხ: https://bit.ly/3eAjOY2 [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[207] იქვე.

[208] 17 მაისის 9 წელი საქართველოში, იხ: https://tabula.ge/ge/news/646487-17-maisis-9-celi-sakartveloshi [ბოლო ნახვა 23.07.2021].

მონაწილეები ადგილზე პოლიციამ შემოვლითი გზებით მიიყვანა[209]. აღნიშნული მიუთითებს, რომ აქტივისტებმა კვლავ ვერ შეძლეს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით დაბრკოლებების გარეშე, სრულყოფილად და თავისუფლად სარგელობა. 2019 წლის 17 მაისს LGBTQI+ თემის აქტივისტებს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღე საჯარო სივრცეში არ აღუნიშნავთ და ასევე იძულებულნი გახნდენ გაეუქმებინათ 8 ივლისისთვის დაგეგმილი ღირსების მარში, რადგან ლევან ვასაძე და მისი თანამოაზრეები 8 ივლისის აქციის ძალადობრივად ჩაშლას და „ლგბტქ აქტივისტების და მხარდამჭერების "ქამრებით გათრევას" გეგმავდნენ“[210]. მიუხედავად ამისა, აქტივისტებმა შსს-ს შენობის წინ გამართეს აქცია და განაცხადეს, რომ „შსს ლგბტქ თემის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს და უსაფრთხოების გარანტიებს ვერ აძლევს მაშინ, როცა ძალადობრივ დაჯგუფებებთან თანამშრომლობს“[211].

ზემოთ აღწერილი ქრონოლოგია და 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები ადასტურებს ქვეყანაში ჩაკეტილი წრის არსებობას - LGBTQI+ თემის წევრებსა და მხარდაჭერებს არ ეძლევათ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ვალდებულებების საწინააღმდეგოდ. **ჩაკეტილ წრეს ქმნიან ულტრანაციონალისტური, რადიკალური, პრო-რუსული სიძულვილის ჯგუფები, სასულიერო პირები და თავად ხელისუფლება, რომელსაც ამ წრის გარღვევის რეალური ინტერესი და ნება არ ჰქონია. შესაბამისად, ხელისუფლება უგულებელყოფს და ლახავს კონსტიტუციურ და საერთაშორისო ვალდებულებებს.**

ანგარიშზე მუშაობდნენ: მარინე კაპანაძე, სალომე გომართელი

---

[209] როგორ აღინიშნებოდა საქართველოში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე - 17 მაისის ქრონოლოგია, იხ: https://bit.ly/2UiGuVS [ბოლო ნახვა 23.07.2021].

[210] იხ. 208-ე შენიშვნა.

[211] იქვე.